პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტ. პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნიშრალდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., ყოფა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 8—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 22 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 166 (1321)

დღეს

- საფრანგეთში ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების არჩევნებში [illegible].
- ვარშავაში პოლიციასა და მუშებს შორის დიდი შეტაკება მოხდა.
- ფრიტიოფ ნანსენი მოსკოვიდან ნორვეგიაში გაემგზავრა.
- ბულგარეთის ზოგ ოლქებში აჯანყება დაიწყო.
- ბესარაბიაში დიდი სიმშილობა.
- პოლონეთში გააძლიერეს რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ.

საქართველოს ცაკის მეორე სესიის მნიშვნელობა

ამ დღეებში დამთავრდა სრულიად საქართველოს მესამე მოწვევის მეორე სესიის სხდომები. არ შეიძლება მოკლედ არ შევეხოთ ამ სესიას და მის მუშაობის მნიშვნელობას.

სრულებით არ კმარა ვთქვათ, რომ მას მარტო საქმიანი ხასიათი ჰქონდათ [illegible], იყო უაღრესად საქმიანი სესია. მაგრამ ამაში როდია მისი ყველაზე უფრო და ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისება; არა, ამ სესიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება მდგომარეობს იმ განსაკუთრებულ ყურადღებაში ყველა გასარჩევ საგნებისადმი, რომელსაც იჩენდა მთელი სესია პირველი სხდომიდან დაწყებული და გათავებული უკანასკნელი სხდომით. ეს ყურადღება არა თუ არ განელებულა სხდომების დროს, არამედ სულ უფრო და უფრო მატულობდა და იზრდებოდა. არ ყოფილა არც ერთი საკითხი, არა თუ მსხვილი, არამედ სულ წვრილმანიც-კი, რომელსაც არ გამოეწვიოს აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, კრიტიკა, კამათი, სანამ საკითხი ნათელი და გასაგები არ შეიქნებოდა ყველასათვის.

და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა ამ მხრით, ეს-ის, რომ განსაკუთრებით სწორედ გლეხებმა გამოიჩინეს უდიდესი ყურადღება ყველა განსახილველ საგნებისადმი. რომ ეს ყურადღება და ინტერესი გამოეჩინათ მათ მხოლოდ მიწის ან კიდევ გადასახადის საკითხებში, რომლებიც მათ უფრო ახლო აინტერესებთ, —ეს კიდევ ისე არ იქნებოდა გასაკვირალი. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ისინი არა ნაკლებ ყურადღებას და ინტერესს იჩენდენ ისეთ საგნებისადმი, როგორიც არიან, მაგ., სისხლის სამართალი, სამოქალაქო უფლება და სხვა, რომლებიც თხოულობენ სათანადო მომზადებას და ცოდნას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენმა გლეხებმა ყველა ამ განხილვის დროს გამოიჩინეს დიდი სიფხიზლე და გაგება, რადგანაც საკითხს უდგებოდენ თვით ცხოვრების თვალთახედვის წერტილიდან, რადგანაც ყველა საკითხს ისინი უკავშირებდენ პირდაპირ ცხოვრებას.

ვისაც წლების განმავლობაში ლათინური კანონმდებლობა ანუ ეგრედ წოდებული რომის უფლება შეუსწავლია, იმათ შესაძლებელია ეს არ მოეწონოთ, ისინი ამას შეიძლება მეცნიერების შეურაცხყოფათაც კი ჩათვლიან. ეს მათი საქმეა. ჩვენ კი მხოლოდ გვახარებს და გვიმხნევებს ის გარემოება, რომ სრულიად უსწავლელი გლეხი, შეიძლება წერა-კითხვის არ მცოდნეც კი, აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოსთვის საჭირო კანონების შემუშავებასა და დამტკიცებაში.

ამნაირად საბჭოთა ხელისუფლების ერთი მთავარი ამოცანა, რომ თითოეული მუშა და გლეხი უნდა შეიქნეს კანონმდებლობის აქტიური მონაწილე, რომ მუშები და გლეხები უნდა გახდენ კანონმდებლები,—დღეს ჩვენში უკვე ხორციელდება. ცაკის უკანასკნელ სესიაზე ამ მხრით დიდი ნაბიჯი იქნა წინ გადადგმული. დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ მომავალი სესიები განაგრძობენ ამ გზით სვლას.

რაც შეეხება არსებითად სესიის მიერ განხილულ საკითხებს და გამოტანილ დადგენილებებს, ყველა ამით უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა ყველა ორგანოების მუშაობისათვის. ასეთია, მაგ. სესიის დადგენილება მიწის კანონში ზოგიერთ ახსნა-განმარტების,—და არა პრინციპიალურ ცვლილებათა,—შეტანის შესახებ, როგორიცაა მიწის იჯარით გაცემა, დაქირავებული შრომით სარგებლობა სასოფლო მეურნეობაში, მიწათმოწყობის შესახებ, კულტის (რელიგიის) მსახურთათვის მიწის მიცემა და სხვა. სამწუხაროდ, სესიაზე არ იქნა განხილული ორი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მიწის საკითხთან, სახელდობრ:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა და იმათი გადაცემა თვით გლეხების განკარგულებაში და

2. საბჭოთა მამულებიდან მიწის განსაზღვრული რაოდენობის ჩამოჭრა და გადაცემა მცირემიწიან ან სრულიად უმიწაწყლო გლეხებზე.

რადგანაც სესიაზე ვერ მოხერხდა ამ კითხვების დასმა, იმათ თავის დროზე განიხილავს და მიიღებს ცაკის პრეზიდიუმი და შემდეგ მოხსენდება მომავალ სესიას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს თემის და სამაზრო საბჭოების და აღმასკომების დებულებების მიღებას. ამიერიდან ამ დაწესებულებათა ფუნქციები, მათი როლი და მოქმედება განსაზღვრულია. იმათ უკვე იციან თავისი უფლებები, თავისი როლი და ფუნქციები, ე. ი. იციან, რა უნდა აკეთონ. ეს გააუმჯობესებს ამ ორგანოების მუშაობას და ჩააყენებს მას განსაზღვრულ კალაპოტში.

ამასთან ერთად ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ მეორე სესიამვე განიხილა და მიიღო დებულება **სათემო ბიუჯეტზე** (ხარჯთაღრიცხვაზე). ეს სრულიად ახალი მოვლენაა ჩვენი სოფლის თუ თემის ცხოვრებაში. მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ კარგად გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თემის საბჭოების გამოცოცხლება და გლეხკაცობის ფართო მასსის ჩაბმა საბჭოთა მუშაობაში, საბჭოთა აღმშენებლობაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ამისთვის ჩვენ შევქმნით შესაფერ საფუძველს, და ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ სათემო ბიუჯეტი. რომ სათემო ბიუჯეტის შემოღება ადვილი საქმე არაა, სესია ამაში დარწმუნდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა თემები უნდა შეუდგენ მუშაობას ბიუჯეტზე გადასვლის მიზნით. **დებულება თემის საბჭოებზე და აღმასკომებზე არის მხოლოდ ჩონჩხი, მხოლოდ ბიუჯეტმა უნდა შეასხას მას სისხლი და ხორცი და ჩაბეროს სული.**

აი სამი უმთავრესი მხარე მეორე სესიის მუშაობისა. მე არ ვამბობ აქ სისხლის სამართლის და სამოქალაქო უფლების კოდექსებზე, სადაც შეტანილ იქნა ზოგიერთი პრინციპიალური ცვლილებები თანახმად სრულიად საკავშირო დებულებებისა.

ამნაირად, მეორე სესიის მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო. იგი გაგრძელდა სრული ხუთი დღე. მეტი დრო აღარ იყო, თუმც სამუშაო კიდევ ბევრი იყო. სამაგიეროდ ამ ხუთი დღის განმავლობაში მან დაანახვა ყველას, თუ როგორ სერიოზულად ეკიდება ჩვენი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო საკანონმდებლო მუშაობას და თუ რა დიდ შემოქმედებას და მასთან ნიჭს იჩენს ის ამ დარგში. უხახავს რაიმე ამის მსგავსი რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს პარლამენტს ან თუნდაც მენშევიკების დამფუძნებელ კრებას? რა თქმა უნდა, რომ არა. და ეს არც შეიძლებოდა, რადგანაც იქ დემოკრატია მხოლოდ ფორმალურად არსებობს, ის მხოლოდ სიტყვას შეიცავს, არსებითად კი ხალხი იქ მოკლებულია ყოველივე საშუალებას თითონ უშუალოდ მიიღოს კანონმდებლობაში აქტიური მონაწილეობა. ამით განირჩევა საბჭოთა სისტემა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ სისტემისაგან.

მაგრამ ახლა საჭიროა, რომ ყველა ეს დადგენილებები და დებულებები არ დარჩენ მარტო ქაღალდზე, არ იქცენ სიტყვებად და დაპირებებად, არამედ რაც შეიძლება ჩქარა იქნენ განხორციელებული ცხოვრებაში. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები და განსაკუთრებით ისინი, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებდენ მათ შემუშავებაში, შეეცდებიან, რომ ისინი რაც შეიძლება ჩქარა გატარებულ იქნან ცხოვრებაში.

ფ. მახარაძე.

რა ხდება პოლონეთში

პოლონეთის შინაური მდგომარეობა სულ უფრო რთულდება. სამეურნეო კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. წარმოება ეცემა. უმუშევრობამ იმატა. სრულ უმუშევართა რიცხვი 250.000-ზე მეტია, რაც ოჯახებიანად შეადგენს ერთ მილიონ კაცს. მათი უმრავლესობა არავითარ დახმარებას არ ღებულობს სახელმწიფოდან. გარდა ამისა ნაწილობრივ უმუშევართა რიცხვი მეტად საგრძნობია. ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა კვირაში მხოლოდ 2—3 დღე მუშაობს.

კვალიფიციურ მუშების ხელფასი 30—35 მანეთს არ აღემატება თვეში. ხოლო სასოფლო-სამეურნეო მუშები იღებენ ათ მანეთზე ნაკლებს თვეში ამავე დროს ცხოვრება გაძვირებულია: მაგ., ფუთი პური ფასობს 3 მან. 50 კაპ.

ფულის რეფორმა, რომელიც ჩაატარა ამ ერთი წლის წინედ გრაბსკის მთავრობამ, არ არის განმტკიცებული. მას არ მოეპოვება სამეურნეო საფუძველი. ამ ფულის რეფორმა, ერთგვარ მტკიცე ვალიუტაზე გადასვლამ გააშიშვლა პოლონეთის მეურნეობის მტკივანი ადგილები. მანამდე პოლონეთის მრეწველობა მუშაობდა ფულის კურსის დაცემის ხარჯზე. მრეწველები იღებდენ ხაზინიდან გრძელვადიან სესხს და უბრუნებდენ გაუფასებულ ვალიუტით. ასეთ ფინანსიურ ოპერაციებიდან მათ დიდძალი სიმდიდრე შეიძინეს. ამის წყალობითვე პოლონეთის საქონელი გაიაფდა და მან საერთაშორისო ბაზარიც მოიპოვა.

ფულის რეფორმის შემდეგ კრედიტები შესწყდა. ქონების შეძენის წინანდელი საშუალება გაქრა. საქონელი გაძვირდა. ექსპორტი შემცირდა, რამაც გამოიწვია სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი საგარეო ვაჭრობის დეფიციტი სულ უფრო და უფრო იზრდება პოლონეთის ბურჟუაზიამ გამოიჩინა სრული უუნარიანობა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ამასთან გლეხთა საკითხი ისევ მწვავედ დგას პოლონეთში. როგორც ვიცით, ეს ქვეყანა დღემდე მსხვილ მემამულეთა სამფლობელოს წარმოადგენს. უმიწაწყლო და მცირე მიწაწყლის მქონე გლეხობა სულს ღაფავს მემამულეთა უღელ ქვეშ. ამ ნიადაგზე გლეხთა უკმაყოფილება იზრდება. ტყუილედ ცდილობს გრაბსკის მთავრობა გლეხობის დაშოშმინებას მოჩვენებითი აგრარული რეფორმით. ამ ჟამად პოლონეთის სეიმში ირჩევა მთავრობის მიერ შეტანილი მიწის რეფორმის კანონპროექტი. სეიმის დეპუტატმა ამხ. ტარაშკევიჩმა სამართლიანად განაცხადა, რომ ეს კანონპროექტი მიზნად ისახავს მემამულეთა ბატონობის შენარჩუნებას ერთი მუჭა კულაკების და კოლონისტების დაკმაყოფილებას გზით; გლეხებმა სთქვა ამხ. ტარაშკევიჩმა, თვითონ უნდა ჩაიგდონ ხელში მიწა, ვინაიდან სეიმი მათ ამას არ მისცემსო.

არანაკლები სიმწვავით სდგას პოლონეთში ეროვნული საკითხი. იქ ბლომად მოსახლეობენ ნაციონალური უმცირესობანი—უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები და სხვები რომელნიც განიცდიან სასტიკ დევნას. უკრაინელების და ბელორუსების „დასამშვიდებლად" შეყვანილ იქნა გრაბსკის კაბინეტში „დემოკრატ" ტუგუტი რომელიც აცხადებდა, რომ იგი მიზნად ისახავს ეროვნულ უმცირესობათა საკითხის მოგვარებას. ამას წინედ ტუგუტი, რომელიც ისედაც არაფერს აკეთებდა დაპირების გასანაღდებლად, გააძრახეს მთავრობიდან.

აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. პოლონეთის ბურჟუაზიას, მუშათა, გლეხთა და ნაციონალურ მოძრაობის აღმოსაფხვრელად, ესაჭიროება ერთიანი ფრონტის შექმნა. ეს კი მაშინ შეიძლებოდა, თუ პოლონელი მმართველი ჯგუფები შეუთანხმდებოდენ ებრაელ ბურჟუაზიას. პოლონეთის პანები იმთავითვე ცნობილი არიან უკიდურესი ანტისემიტიზმით მიუხედავად ამისა, მოხდა შეთანხმება პოლონელ ნაციონალ-დემოკრატებსა (მთავრობის პარტია) და ებრაელ ბურჟუაზიას შორის, რათა წაართვას ძველებურ ოპოზიციის ნალისა და დაარღვიოს დევნილ ნაციონალურ უმცირესობათა ობიექტიურად შექმნილი მთლიანი ფრონტი. ტუგუტს ამის შემდეგ არ დაედგომებოდა მთავრობაშიო.

ებრაელი ბურჟუაზია ამ „შეთანამებისა"-თვის, ცხადია, მიიღებს ერთგვარ შეღავათებს მრეწველობასა და ვაჭრობაში. ამგვარად, წმინდა კლასობრივ ინტერესებმა რევოლიუციონური საკითხის წანაშე გააერთიანა ორი მოსისხლე მტერი—პოლონელი და ებრაელი ბურჟუაზია, რომელიც საერთო ძალღონით შეეცდება სამუშაო დღის გადიდებას, მუშათა კანონმდებლობის, აგრარულ რეფორმის, „საყოველ" საარჩევნო უფლებას და სხვათა მოსპობას.

ამავე დროს ძლიერდება რეპრესიები რევოლიუციონურ ჯგუფების, კერძოდ კომუნისტების წინააღმდეგ. კომუნისტების დახვრეტა „ჩვეულებრივ" მოვლენად იქცა. ერთი „მაღალი" პოლონელი მოხელე ასეთ „ბრძნულ" რჩევას იძლევა: „ერთად ერთ ზომად კომუნიზმთან ბრძოლისათვის უნდა იყოს იმ პირთა მუდმივი დაპატიმრება, რომელთაც ბრალად ედებათ, რომ ისინი კომპარტიას ეკუთვნიან". ჩვენ სერიოზული ეჭვი შეგვდის, რომ ასეთი ველური რეპრესიებით შეიძლებოდეს აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნილ მშრომელ მასსის გაჩუმება. ამგვარი ზომები მხოლოდ იმას მოწმობენ, რომ პოლონეთის ბურჟუაზიას ფეხებში წყალი აქვს ჩამდგარი.

ასე გამწვავებულია შინაური მდგომარეობა პოლონეთში. რაც შეეხება მის საერთაშორისო მდგომარეობას, არც იგია სახარბიელო მისთვის. პოლონეთის მრეწველებს კარგათ ესმით საბჭოთა კავშირთან ეკონომიური დაახლოების სარგებლობა მაგრამ გრაბსკის მთავრობა პოლიტიკური მოსაზრებით დღემდე ამას ყოველნაირად უშლიდა ხელს. ბოლო დროს იგი, ქვეყნის სავაჭრო ბალანსის უდიდესი დეფიციტის გამო, იძულებული გახდა „პრინციპში" დათანხმებულიყო კრიტიკის მიცემაზე მრეწველობისათვის საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის მიზნით. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ პოლონეთს თითქოს ხელი აეღოს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულ განზრახვებზე.

მეორე მხრით, დასავლეთის საზღვრებზე მისი მდგომარეობა რთულია. გერმანია არასოდეს არ შეურიგდება პოლონეთის მიერ მის ტერიტორიის მითვისებას. პოლონეთი ამ შემთხვევაში სულდგმულობს საფრანგეთის დახმარების იმედით. მაგრამ თვით საფრანგეთის მდგომარეობა დღეს იმდენად მწვავეა, რომ საეჭვოა რომ მან თავის ფინიას იმედები სავსებით გაუმართლოს.

X.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ლატვიის სამრეწველო გამოფენაზე დიდი ზეიმით გაიხსნა საბჭოთა პავილიონი

გეტებორგში (შვეცია) ჩავიდა საბჭოთა ესკადრა

იტალიაში 3 წლის განმავლობაში გატანილი იქნება 32 მილიონი ფუთი ნახშირი

მაკდონალდი აღიარებს, რომ „ზინოვიევის წერილი" ყალბი იყო

ინგლისი

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი 20 ივლისი. თემთა პალატაში შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს, ჩემბერლენმა განაცხადა: „რაკოვსკისთან საუბრის დროს მე ვაცნობე მას, რომ არ შემიძლია დავიჯერო, რომ სავაჭრო ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც პროპაგანდას ეხება ლოიალურად სრულდებოდეს საბჭოთა რუსეთის მიერ".

უპასუხა რა შემდეგ კითხვაზე, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მან საჭიროთ ვერ დაინახა დაწვრილებით ჩამოეთვალა აღნიშნული მუხლის დარღვევის ყველა შემთხვევები.

შვეცია

საბჭოთა ესკადრა.

სტოკჰოლმი, 20 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შვეციაში **დოვგალევსკი** შაბათს ჩავიდა გეტებერგში საბჭოთა ესკადრის შესახვედრათ. კვირას დილით გეტებერგში ჩავიდენ გემები: „ავრორა" და „კომკავშირელი".

ესკადრის ჩასვლის დროს გეტებერგის მცხოვრებლები მეგობრულად მიესალმენ წითელ მეზღვაურებს. ქალაქის ბაღში გაიმართა ბანკეტი, რომელიც მოაწყო რუსეთ-შვეციის საზოგადოებამ სრულუფლებიან წარმომადგენლის და ესკადრის პატივსაცემად. ბანკეტს დაესწრენ სამხედრო და საზღვაო ხელისუფლების წარმომადგენლები და აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლები.

ლატვია

საბჭოთა პავილიონი გამოფენაზე

რიგა, 20 ივლისი. რიგაში გაიხსნა ლატვიის მეხუთე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე მოწყობილია საბჭოთა კავშირის პავილიონი, რომელიც საგრძნობლათ გაფართოებულია შარშანდელთან შედარებით. გამოფენის გახსნის დღეს საბჭოთა კავშირის პავილიონი დიდძალმა ხალხმა ინახულა.

ჩინეთი

გადაფრენა მოსკოვ-პეკინი.

პეკინი, 20 ივლისი. 20 ივლისს საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ გამართა დიდი დარბაზობა მოსკოვ-პეკინის საჰაერო ექსპედიციის მონაწილეთა პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრენ ჩინეთის მთავრობის წევრები, საავიაციო უწყების უფროსები და ოფიცრები და სხვ. წარმოთქმული იყო სიტყვები.

მაკდონალდი „ზინოვიევის წერილის" შესახებ

წერილი ყალბი იყო

ლონდონი, 20 ივლისი. გამოვიდა რა სიტყვით მაღაროს მუშათა დემონსტრაციაზე ნორტუმბერლენდში, მაკდონალდმა, სხვათა შორის, სთქვა: „უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების დროს რეაქციამ მოფიქრებულათ მიმართა შეთქმულების გეგმას, შეგნებულათ მოატყუა ამომრჩევლები, როდესაც კონსერვატორებს იერიში მიჰქონდათ ზინოვიევზე. მათ იცოდენ, რომ წერილი, რომელსაც უკანასკნელს აწერდენ, ყალბი იყო.

კრების ერთმა მონაწილემ მაკდონალდის ამგვარ განცხადების შემდეგ მიმართა მას შეკითხვით—წერილი ნამდვილი იყო თუ არაო. მაკდონალდმა უპასუხა: „არა, არ იყო ნამდვილი; ამის შესახებ ყველაზე უკეთესათ იცის თვით კონსერვატიულმა პარტიამ".

ჩვენი ქვა-ნახშირი უცხოეთში.

მოსკოვი, 21 ივლისი. ქვა-ნახშირის საექსპორტო კომისიამ დასდო ხელშეკრულება იტალიურ ფირმებთან სამი წლის განმავლობაში 32 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირის მიწოდების შესახებ. მიმდინარე წელში ხელშეკრულების ძალით მარიუპოლით იტალიაში გადიგზავნება 10 მილიონი ფუთი ნახშირი.

ნანსენის გამგზავრება

მოსკოვი. 21 ივლისი. ნანსენმა ინახულა მიწ. მოქმედების სახ. კომისრის მოადგილე ამხ. სვიდერსკი და ხანგრძლივათ ესაუბრა მას. ნანსენმა განაცხადა, რომ ის აღტაცებულია იმ ენერგიით და სიმტკიცით, რომელსაც იჩენს მთავრობა და მთელი ხალხი სასოფლო მეურნეობის აღადგენათ და განსავითარებლათ.

21 ივლისს ფრიტიოფ ნანსენი გაემგზავრა ოსლოში (ნორვეგიის სატახტო ქალაქი).

პრესა

მუშაობის გამოცოცხლება ადგილებზე

ზოგან საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების ლოზუნგი ისე ესმით, თითქო საქმე ეხებოდეს მხოლოდ სოფლის საბჭოებს. ნაკლები ყურადღება ექცევა საქალაქო საბჭოების მუშაობის გაცხოველებას. მართალია, გლეხობის ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში დღეს პირველ რიგში დგას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ნაკლებად უნდა ვცდილობდეთ მუშების დაინტერესებაზე საქალაქო საბჭოების საქმიანობით. ბევრგან ამ მხრივ არ არის სასურველი მდგომარეობა. ერთ ერთ ქალაქის საბჭოს შესახებ ამას წინად გვატყობინებდა კორესპონდენტი, რომ ოთხი თვეა ამ საბჭოს სხდომა არ გამართულა და ის არ იჩენს მოქმედების ხალისსა. ასეთი მოვლენა არ არის იშვიათი გამონაკლისი. „რაბოჩაია გაზეტა" სწერს:

„წარმოებათა მუშები ხშირად ივიწყებენ, თუ ვინ აირჩიეს საბჭოში. წარმოებებში მუშები ივიწყებენ იმას, რომ მათ წრეში არიან საბჭოს დეპუტატები. საბჭოს დეპუტატები არ არიან დაინტერესებულნი, არ სწავლობენ თავის საბჭოს მუშაობას მთლიანად, და ამიტომაც, ცხადია, არ შეიძლება იყვენ საბჭოს ნამდვილ დეპუტატებად".

არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ქვედა პროფორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლების დარგშიც. ადგილკომების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საქმიანობა ბევრგან ძალზე მოისუსტებს. მათ არა აქვთ დამყარებული მჭიდრო კავშირი მასსასთან, არ სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით. ეს მიეწერება იმ გარემოებასაც, რომ პარტუჯრედებს არა ყველგან აქვთ შეთვისებული პარტიის კურსი პროფორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლების საკითხში. „რაბოჩაია გაზეტა" გადმოგვცემს:

„როდესაც ერთ წარმოებაში შეეკითხენ უპარტიო მუშებს, თუ რატომ არ მიმართავენ ისინი პროფსაკითხების შესახებ საქარხნო კომიტეტს, არამედ მიდიან კომუჯრედში, მუშებმა მეტად დამახასიათებელი პასუხი გასცეს: „არ ღირს ზედმეტი ინსტანციის გავლაო".

გაზეთი განმარტავს:

„ეს იმას მოწმობს, რომ პარტუჯრედები ალაგ-ალაგ სწევენ ქვედაპროფორგანიზაციების მაგიერობას, ხოლო ასეთ პირობებში წარმოუდგენელია ქვედა პროფესიულ მუშაობის პრაქტიკულად გამოცოცხლება".

უეჭველია, რომ ასეთ ფაქტებს ჩვენს სინამდვილეშიც ექნება აქა-იქ ადგილი. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც პროფორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლების, ისე საქალაქო საბჭოების საქმიანობაში მუშა-დეპუტატების ჩაბმის საკითხს.

ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში

უცხოეთის სახელმწიფოები აჭიანურებენ მოლაპარაკების დაწყებას ჩინეთის მთავრობასთან.

21 ივლისს შანხაიში გაიმართა დიდი დემონსტრაციები და მიტინგები

ინგლისის ელჩმა პეკინში მოითხოვა გაზეთ „ჩანბაოს" დახურვა იმპერიალისტების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის.

ჩინეთის მთავრობის ნოტა

პეკინი, 20 ივლისი. ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა იტალიის ელჩს ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან მოლაპარაკების გადადებისათვის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ახალი მღელვარება.

ვინ ავრცელებს ჭორებს?

პეკინი, 20 ივლისი ინგლისის რწმუნებულმა ჩინეთში მიმართა გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტებით კანტონში მომხდარ აჯანყების გამო. ამ ნოტებში ის აცხადებს, რომ სროლა ასტეხეს ჩინელებმა და ამით აიძულეს შამინის უცხოელთა პოლიცია სროლითვე უპასუხებიათ. ნოტა თავდება სიტყვებით: „ამ ინციდენტით ისარგებლეს ინგლისის წინააღმდეგ ცილისწამების კამპანიის საწარმოებლათ".

რეაქციონურ ჯგუფის გამოსვლა „გომინდანიდან"

პეკინი, 20 ივლისი. „გომინდანის" მემარჯვენე ფრთამ მოაწყო გომინდანის კლუბი და საბოლოოდ გამოვიდა პარტიიდან. ამას წინად ამ მემარჯვენე ფრთამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ბრალს სდებს პარტიის აღმასკომს იმაში, რომ ის „წარმოადგენს იარაღს ბოლშევიკების ხელში". შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ 15 აგვისტოსათვის დანიშნული პარტიის ყრილობა იქნება კომუნისტურ ელემენტების კრება. პარტიიდან გასულები უკანონოთ აცხადებენ აღმასკომის ყოველგვარ მოქმედებას და აღნიშნავენ, რომ ვიდრე გომინდანის პარტიიდან გამორიცხული არ იქნებიან კომუნისტები, გომინდანის კლუბი კისრულობს ყოველგვარ უფლებებს და წინადადებას იძლევა ანგარიში არ გაუწიონ განზრახულ პარტიულ ყრილობას.

გომინდანის კლუბი არავითარი გავლენით არ სარგებლობს, ვინაიდან ეს კლუბი შესდგება რამდენიმე რეაქციონერ ლიდერისაგან და მას მხარს არ უჭერენ პარტიის ფართო მასები.

თავხედური მოთხოვნილება

პეკინი, 20 ივლისი. ინგლისის ელჩმა პეკინში წერილობით მოსთხოვა ჩინეთის მთავრობას გაზეთ „ჩინბაოს"-ს ნაციონალურ აზრის გამომხატველ დამოუკიდებელ ორგანოს—დახურვა „ინგლისის წინააღმდეგ აგიტაციისათვის".

მოსყიდული პრესა

პეკინი, 20 ივ. შანხაიში უკმაყოფილო არიან ჩინურ ენაზე გამომავალ ორი ადგილობრივი გაზეთით, რომლებიც ქალაქის საბჭოს ზეგავლენით ეწეოდენ ინგლისის სასარგებლო აგიტაციას კანტონის ამბების გარშემო. **ჩინეთის ორგანიზაციათა გაერთიანებულმა კომიტეტმა მოითხოვა რედაქციების მიერ საჯაროთ ბოდიშის მოხდა, ბროშიურის გამოცემა სწორი ცნობებით და კანტონის ამბების გამომკვლევ კომისიის ანგარიშებით, და, აგრეთვე, გაფიცულთა სასარგებლოთ 100,000 დოლარის გადახდა.**

როდესაც რედაქციებმა უარი განაცხადეს ამ მოთხოვნათა შესრულებაზე, **ამ გაზეთების ორი გამოცემა მოსპობილ იქნა, ხოლო სტამბის მუშებმა დაიწყეს მზადება გაფიცვისათვის.**

ფინ-იუი-სიანი შეშინდა

პეკინი, 20 ივლისი. გენერალმა ფინ-იუი-სიანმა, გამოაქვეყნა არმიისადმი ბრძანება, რომელშიაც უარყოფს ხმებს მისი გაკომუნისტების შესახებ და მოუწოდებს თავის ქვეშევრდომებს „თავიანთი ყოფაქცევით გაფანტონ ასეთი ხმები".

პანების სამეფოში

დახმარება... პოლიციელებს

ვარშავა, 20 ივლისი. გაზეთებმა დაიწყეს შემოწირულებათა შეკრება იმ პოლიციელების ოჯახების სასარგებლოთ, რომელნიც დაიჭრენ ან დაიხოცენ კომუნისტებთან შეტაკების დროს.

კომპარტიის დევნა

ვარშავა, 20 ივლისი. პრესა აძლიერებს კამპანიას კომპარტიის წინააღმდეგ.

„რეჩ პოსპოლიტა" მოითხოვს მუშათა და გლეხთა ბლოკის ყველა დეპუტატების მიცემას პასუხისგებაში.

„კურიერ ჩერვონი" ათავსებს უცნობ მაღალ თანამდებობის პირის განცხადებას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთად-ერთ ზომას უნდა წარმოადგენდეს ყველა იმ პირთა დაპატიმრება, რომელთაც ბრალად ედებათ კომპარტიაში მუშაობა".

გაზეთები ავრცელებენ ხმებს, თითქოს სროლის დროს დაპატიმრებული კომუნისტები ამზადებდენ თავდასხმას რომელიღაც „მაღალ თანამდებობის პირზე".

აფეთქება ნაღმოსანზე

ვარშავა, 20 ივლისი. დანციგის ნავთსადგურში პოლონეთის ნაღმოსანზე „კაშუბზე" მოხდა აფეთქება. ნაღმოსანი 8 წუთის განმავლობაში დაიძირა. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

„კაშუბი" საუკეთესო ნაღმოსანად ითვლებოდა პოლონეთში.

ობსტრუქცია სეიმში.

ვარშავა. 20 ივლისი. მიწის რეფორმის პროექტის მესამეჯერ კენჭის ყრის დროს მუშურ - გლეხურ ბლოკის დეპუტატებმა გამართეს ობსტრუქცია.

თავმჯდომარე იძულებული იყო შეეწყვიტა სხდომა და უბრძანა გაეყვანათ დარბაზიდან მუშურ-გლეხური ბლოკის დეპუტატები. წინასწარ დარბაზიდან გაყვანილი იქნენ ჟურნალისტები და დამსწრე საზოგადოება.

პოლიცია ფეხზეა დამდგარი.

ვარშავა. 20 ივლისი. ვარშავის ქუჩებში პოლიციასა და კომუნისტებს შორის შაბათს მომხდარ შეტაკების გამო მთელი პოლიტიკური პოლიცია ფეხზეა დაყენებული.

ყოველ დღე სწარმოებს ჩხრეკა და დაპატიმრებანი.

ციხის საავადმყოფოში მყოფმა მძიმედ დაჭრილმა კომუნისტებმა კნიევსკიმ, ტუროვიჩმა და რუდკოვსკიმ დაკითხვის დროს განაცხადეს, რომ ისინი არიან კომპარტიის წევრები. მათ უარი განაცხადეს სხვა ცნობების მიცემაზე.

შეტაკება ვარშავაში

ვარშავა, 20 ივლისი. პოლონეთის სეიმის მუშურ და გლეხურ ბლოკის შემადგენლობაში შემავალი კომფრაქციის, დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის და ბელორუსიის „გრომადის" დეპუტატებმა ვარშავაში მოაწყვეს დეპუტატების მიტინგი ერთიან მუშურ-გლეხური ფრონტის ლოზუნგით.

მიტინგი უნდა გამართულიყო თეატრში, მაგრამ პოლიციამ უბრძანა ადმინისტრაციას დაეხურა თეატრი. **მიტინგზე თავი მოიყრილმა მუშებმა შეამტვრიეს თეატრის ჭიშკარი და შევიდნენ თეატრის ეზოში, საიდანაც პოლიციამ უკანვე გამორეკა.** მაშინ მიტინგის მონაწილენი გაემართენ ქალაქის ცენტრისაკენ. **გზაში დემონსტრაციას თავს დაესხა ცხენოსანი და ქვეითი პოლიცია და დაუწყეს მუშებს ცემა-ტყეპა. დეპუტატ ტარაშკევიჩს, რომელიც მუშებს გამოექომაგა, ხცემეს თოფის კონდახით და მძიმეთ დაჭრეს თავში. პოლიციამ დააპატიმრა დახლოებით 20 კაცი.**

ჩქარა მეორე რაიონში გაიმართა მეორე მიტინგი, რომელიც აგრეთვე გარეკილი იქნა პოლიციის მიერ. პოლიციამ დააპატიმრა მიტინგზე გამოსული მუშა-მჭედელი.

მემარცხენე ბლოკის გამარჯვება

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნები საფრანგეთში

საბოლოო შედეგები.

პარიზი, 20 ივლისი. საბოლოო ცნობებით თვითმართველობების ადგილობრივ ორგანოებში არჩეულია: კონსერვატორი—115 (დაკარგეს 61 ადგილი), რესპუბლიკანელი—236 (დაკარგეს 45), მემარცხენე რესპუბლიკანელი—223 (დაკარგეს 35), კომუნისტი—2 (დაკარგეს 5), რესპუბლიკანელ-რადიკალი—138 (მოიგეს 11 ადგილი), რადიკალი, რადიკალ-სოციალისტი—444, რესპუბლიკანელი სოციალისტი—49 (მოიგეს 3), სოციალისტი—91 (მოიგეს 19). საერთოთ მემარცხენე ბლოკმა მოიგო 91 ადგილი.

პარიზი, 20 ივლისი. ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების არჩევნების დროს გამოირკვა შემდეგი:

მემარცხენე ბლოკის პარტიებმა მოიგეს 80 ადგილი, ამათში რადიკალებმა და რადიკალ სოციალისტებმა—59, სოციალისტ-რესპუბლიკანელებმა—2, სოციალისტებმა—19. კონსერვატორებმა დაკარგეს 6 ადგილი, ლიბერალებმა—23 და კომუნისტებმა 4 ადგილი.

აჯანყება ბულგარეთში

ვენა, 20 ივლისი. ბულგარეთის სხვადასხვა ადგილებში ისევ გახშირდა აჯანყებულთა რაზმების თავდასხმები. **დრაგომანთან ერთი რაზმი თავს დაესხა სანაპირო სადარაჯოს. იყო რამდენიმე ცდა სოფიასა და პლოვდივის რკინისგზის ხაზზე დაცემისა. გულოვეცთან აჯანყებულთა რაზმი 40 კაცის შემადგენლობით თავს დაესხა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას.**

მოკავშირეები და გერმანია

გერმანიის პასუხი

პარიზი, 20 ივლისი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით გერმანიის პასუხი საფრანგეთის ნოტაზე საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ გადაეცა ბრიანს და გამოქვეყნებული იქნება ოთხშაბათს.

ჯარების გაყვანა რურის ოლქიდან

ბერლინი, 20 ივლისი. საოკუპაციო ჯარებმა 19 ივლისს დაცალეს ქალაქები: ბოხუმი, ვიტენი, გეტინგენი და ოსტროფელდი. ევაკუაცია უინცინდენტოდ ჩატარდა.

აღნიშნულ ქალაქების დაცლა რურის ოლქიდან ჯარების გაყვანის დასაწყისია.

სიმშილობა რუმინეთში

ბესარაბიაში

ადესა, 21 ივლისი. ბესარაბიიდან ჩამოსულები იუწყებიან, რომ კიშინიოვში ქალაქის პურის საცხობებიდან პურს აძლევენ მხოლოდ სამხედრო ნაწილებს, ჟანდარმერიას და დაწესებულების მოხელეებს.

მიუხედავათ სიმშილობისა, რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს გახსნას 15 აგვისტოს კიშინიოვში გამოფენა. ამის გამო ბესარაბიის გაზეთები გაკვირვებას გამოსთქვამენ: „რა უნდა გამოიტანოს გამოფენაზე დამშეულმა ბესარაბიამ"?

ლტოლვილები იუწყებიან, რომ კიშინიოვის მიდამოში ანაწილებენ საფონდო მიწას, მიწას ღებულობენ მხოლოდ აფიცრები და მოხელეები. მოუსავლობის გამო გლეხობას ძალა არ შესწევს საიჯარო გადასახადის გადახდისა, ბევრი მათგანი რეპრესიების შიშით სტოვებს თავის ქოხებს და გარბიან.

რუმინეთში ნათესები განადგურდა

ვენა, 20 ივლისი. რუმინეთში საშინელმა ქარიშხალმა გაანადგურა ნათესების საგრძნობი ნაწილი. მოლდავიის ოლქებში, ფილჩის, ტეკუჩის და ტუტოვის მიდამოების ნათესები მთლად განადგურებულია. მარემურაკში დაიღუპა ნათესების 60 პროცენტი. ცოტათ თუ ბევრათ დამაკმაყოფილებელ მოსავლის ნიშნებს იძლევა ხოტინის რაიონი. არაჩვეულებრივმა წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა მესაქონლეობასაც. ძველ რუმინეთშიაც მოსალოდნელია ხორბლის ნაკლებობა. არმიის პურით უზრუნველსაყოფად მთავრობას განზრახვა აქვს ისარგებლოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ დამზადებული პურით.

რადიჩის ღალატი

ვენა, 20 ივლისი. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ სტეფანე რადიჩმა სამხრეთ-სლავიის მეფეს მიმართა დეპეშით, რომელშიაც ქებით იხსენიებს „მეფის სიბრძნეს და კეთილშობილებას, რომლის წყალობით სამხრეთ-სლავიის სახემწიფოში მყარდება მშვიდობიანობა და სამართლიანობა". დეპეშა თავდება შემდეგი სიტყვებით: „ღმერთი იყოს თქვენი უმაღლესობის და თქვენი ოჯახის შემწე".

რადიჩს ამ დღეებში მიიღებს მეფე, რომელთანაც მას საუბარი ექნება თავისი პარტიის შესახებ. გაუქმებული იქნება ის განსაკუთრებული კანონები, რომლებიც გამოცემული იყო რადიჩის პარტიის წინააღმდეგ.

ომი მაროკოში

პენლევე იმუქრება

პარიჟი, 20 ივლისი. მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ პენლევემ განაცხადა: „სწარმოებს მოლაპარაკება მაროკოში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ და ამავე დროს მიღებულია ზომები ფრონტის გასამაგრებლად და აბდელ-ქერიმზე გადამწყვეტ იერიშის მისატანად.

მუშათა რიგების გაერთიანება ინგლისში

პროფკავშირების კავშირის წესდება

ლონდონი, 20 ივლისი. მუშათა კავშირის (ტრედიუნიონების კავშირი) წესდების პროექტი შეიცავს შემდეგ უმთავრეს მუხლებს:

თვითეულმა კავშირმა უნდა ისარგებლოს მის წესდებაში გათვალისწინებულ აპარატით, მოსალაპარაკებლად, ვიდრე გადაიტანდეს საჩივარს კავშირში.

კავშირს აქვს უფლება მიიღოს ყოველგვარი ზომები საჭიროებისდამიხედვით: მან უნდა მიმართოს ფინანსიური ხასიათის ღონისძიებებს, მუშაობის ნაწილობრივ შეწყვეტას, მუშაობის საერთოდ შეწყვეტას.

თვითეულმა კავშირმა უნდა მიანიჭოს საკმაო უფლებები მუშათა კავშირის აღმასრულებელ საბჭოს, თუნდაც თვით პროფკავშირის წესდება შეიცავდეს ამის საწინააღმდეგო მუხლს.

უკანასკნელი მუხლი ყველაზე მიაჩნია მნიშვნელოვანად.

წყალდიდობა კორეაში

ტოკიო, 20 ივლისი. კორეაში მომხდარი წყალდიდობა არაჩვეულებრივია ისტორიაში. სეული (კორეის დედაქალაქი) მოწყვეტილია დანარჩენ მსოფლიოსაგან. **რიუზანში წყალმა დაფარა 1500 სახლი. ქალაქი ეილოხო თითქმის დანგრეულია. მრავალი სახლები და ხიდები წაღებულია. გზატკეცილები დანგრეულია. ათასობით ლტოლვილები განიცდიან შიმშილს. წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი აურაცხელია.**

სხვა და სხვა ამბები

— **ჩხრეკა ჩეხიის კომპარტიის ც. კ. ბინაზე.** კომუნისტური გაზეთი „რუდი პრავო", რომელიც გამოვიდა დღეს მრავალ ცალიერ ადგილებით, იუწყება, რომ გუშინ პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა ჩეხიის კომპარტიის ც. კ. ბინაზე. ც. კ. სამდივნოს, საოლქო კომიტეტის, სამდივნოს რედაქციის და სასპორტო ორგანიზაციის ბინების გაჩხრეკის შემდეგ, პოლიციამ დააპატიმრა ც. კ. მდივანი, ჟილევი, და, აგრეთვე, შენობაში მყოფი უცხოელი. დაპატიმრებულთ ბრალდებათ სახელმწიფო ღალატი.

— **პერსელის არჩევის გამო.** „როსტას" კორესპონდენტთან საუბრის დროს პერსელმა განაცხადა, რომ მას მოსდის მისალოცი დეპეშები არჩევნებში გამარჯვების გამო.

„ასეთი დეპეშები იმდენი დაგროვდა,—სთქვა პერსელმა,—რომ მე საშუალება არა მაქვს უპასუხო თვითეულზე, მაგრამ უდიდესი სიამოვნება მაგრძნობინეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და ბაქოს მუშების დეპეშებმა".

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ბოტანიკისა და ახალ კულტურის ინსტიტუტის საბჭოში.

მოსკოვი, 21 ივლისი. შესდგა გაფართოებული საზეიმო სხდომა ბოტანიკისა და ახალ კულტურის ინსტიტუტის საბჭოსი.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საკავშირო ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ჩერვიაკოვმა. მან აღნიშნა ინსტიტუტის დიდი როლი ჩვენი სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებაში. მან გამოსთქვა იმედი, რომ ინსტიტუტის განყოფილებანი გაიხსნებიან ყველა საკავშირო რესპუბლიკებში. შემდეგ დასძინა, რომ ინსტიტუტი უნდა აწარმოებდეს არა მარტო მეცნიერულ გამოკვლევებს, არამედ ამ გამოკვლევის შედეგებს პრაქტიკულათაც უნდა ანხორციელებდეს ცხოვრებაშიო.

თათბირი ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის საკითხებზე.

მოსკოვი, 21 ივლისი. სახ. ჯანმრთელობის კომისარიატს განზრახული აქვს მოიწვიოს მოსკოვში მიმდინარე წლის შემოდგომაზე თათბირი ფსიქიატრიის და ნევროლოგიის საკითხებზე.

თათბირზე განზრახულია განხილული იქნას წინასწარ გამაფრთხილებელ ნევროლოგიასა, ფსიქიატრიასა და სოციალურ ავადმყოფობასთან დაკავშირებული საკითხები.

წარდგენილი იქნება აგრეთვე მოხსენებები ნევრო-პროფილაქტიურ ორგანიზაციის, ნევრო-ფსიქიატრიულ დახმარების შესახებ და მთელი რიგი სხვა სამეცნიერო მოხსენებებისა.

სათესლე სესხის გადიდება.

მოსკოვი, 17 ივლისი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა **მოუსავლობისაგან დაზარალებულ რაიონებისათვის წინათ გაცემული სათესლე სესხი 12 ნახევარი მილიონი ფუთი გაადიდოს 1.300.000 ფუთით.**

ბელორუსია

პოლონელი ბანდიტები

მინსკი, 16 ივლისი. **საბჭოთა ტერიტორიაზე ლენინის დაბის ახლოს შეპყრობილია 3 შეიარაღებული პოლონელი ბანდიტი.** მათი ჩვენებით, ბანდა შემდგარა გასულ მაისს პოლონეთის სანაპირო კორპუსის მეხუთე სანაპირო ბრიგადის შტაბის დაზვერვის განყოფილების გამგის ციმმის ერ ხელმძღვანელობით საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმის მოწყობის, სოფლის საბჭოების განადგურების და საფოსტო განყოფილებაზე შეიარაღებულ თავდასხმის მოწყობის მიზნით.

უკრაინა

შავი ზღვის ფლოტი.

სევასტოპოლი, 21 ივლისი. სავარჯიშო ნაოსნობის შემდეგ შავი ზღვის ფლოტი დაბრუნდა სევასტოპოლში. საზღვაო ძალების უფროს პანცერჟანსკის განცხადებით ფლოტმა შარშანდელზე ბევრათ უკეთესათ შეასრულა თავისი დავალებანი, ხანგრძლივი ნაოსნობის შემდეგ ფლოტი ისევ საუცხოვო მდგომარეობაში იმყოფება და სავსებით შენახულია მისი ბრძოლის უნარიანობა.

ყოფილ მეფის ქონების გაყიდვა

ლენინგრადი, 21 ივლისი. უკანასკნელ ხანებში ჩამოდიან დიდძალი უცხოელები, რომელნიც დაინტერესებული არიან ყოფილ მეფის ქონების გაყიდვით. გერმანიის საელჩომ და უცხოეთის სხვა მისიების წარმომადგენლებმა შეიტანეს განცხადება სხვადასხვა ნივთების შეძენის შესახებ. მიღებულია ცნობები, რომ მოსალოდნელია უცხოელ კომერსანტების ჩამოსვლა დანიიდან, შვეციიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან და ამერიკიდან.

ამჟამად სახელმწიფო ფონდების კომისია შეუდგა სასახლის ქონების აღრიცხვას. დათვლილია სასახლის ლაქიების ლივრეების რიცხვი. აღმოჩნდა, რომ ფრაკების, სერთუკების, ჟილეტების, ზულქების, ტუფლების, ქუდების და ხელთათმანების სრული კომპლექტი 20.000 კაცზეა ნავარაუდევი. აღრიცხულია ალექსანდრა ფეოდოროვნას გარდერობი, რომელიც შესდგება დიდძალ მდიდრულ ტანთსაცმელისაგან და აგრეთვე 74 შესამოსი.

შესამოსების შეძენას აპირებს სახელმწიფო ბანკი, რომელიც ფიქრობს რამდენიმე ათეულ გირვანქა ოქრო-ვერცხლის შეძენას ამ შესამოსებიდან.

თათბირი სოფლის საბჭოთა მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 21 ივლისი. დამთავრდა თათბირი სოფლის საბჭოთა მუშაობის შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ სოფლის საბჭოთა აღმასრულებელი ორგანო შესამჩნევათ არის გაუმჯობესებული თავმჯდომარისა და მდივნის მუდმივი ყოლით.

საჭიროთ არის ცნობილი გლეხებში ნდობამოპოვებულ მუშაკების გამორჩევა და საბჭოთა ხელმძღვანელობა უმაღლეს ორგანოების მიერ.

თათბირის მიერ აღნიშნულია, რომ გლეხები დიდის ყურადღებით ეკიდებიან სასოფლო კრებებს, სადაც დიდ მონაწილეობას იღებენ ქალებიც. თათბირმა საჭიროთ სცნო ამ კრებების მოწყობა ახალ საფუძველზე, რასაც უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს სოფ. საბჭომ.

სასურველათ არის ცნობილი, საბჭოს კრებებზე მოწვეულ იყვნენ საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელნი, სადაც მოხსენებას გააკეთებენ თავიანთი მუშაობის შესახებ. საბჭოები უნდა მართავდნენ გაფართოებულ კრებებს თვით სოფლებში.

უცხოელი მუშათა დელეგატები საბჭ. კავშირში

გერმანიის მუშათა დელეგაცია

გაცილება ლენინგრადიდან

ლენინგრადი. 21 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაციის გაცილების დროს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ოქტომბრის სადგურთან. დელეგაციის მიერ წაკითხულ იქნა მიმართვა ლენინგრადის მუშებისადმი, სადაც განსაკუთრებით აგებენ „წითელ პუტილოვეცის" ქარხანას.

მიმართვაში ნათქვამია, რომ ყოველი პატიოსანი მუშა უნდა ამაყობდეს საბჭოთა მიღწევებით. ყველგან ემჩნევა მტკიცე გადაწყვეტილება ახალი აღმშენებლობისათვის. **ლენინგრადის წარმოებაც ვითარდება სოციალისტურ მეურნეობის ფორმებში, მუშათა ნივთიერი მდგომარეობაც დღითი-დღე უმჯობესდება.**

საგანგებოთ აღნიშნავენ დასასვენებელ სახლების სარგებლობას. ისინი აღუთქვამენ, ყველაფერი ნახული ამცნონ გერმანიის მუშებს, რომ ყოველთვის მზათ იყვენ ხელის შესაშლელად იმ შემთხვევისათვის, თუ კაპიტალი კიდევ გაბედავს ოდესმე იერიში მოიტანოს საბჭოთა კავშირზე.

შემდეგ დელეგაცია აღნიშნავს „ფორვერტსის" მიერ გავრცელებულ ჭორებს და ამბობს, რომ **საბჭოთა კავშირის სინამდვილე ძირიან ფესვიანად ეწინააღმდეგება ყველა ამ სიყალბეს.** სწორეთ ამიტომაც იყო საჭირო ამ დელეგაციის მოსვლა, რომ თავისი საკუთარი თვალით გაეცნო აქაურობა და აღარ დაეჯერებინა ბურჟუაზიულ პრესის მიერ გავრცელებულ ჭორებისათვის.

მოსკოვში

მოსკოვი. 21 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაცია ჩამოვიდა მოსკოვში და პირველ ყოვლისა ინახულა შრომის სასახლე, სადაც საზეიმო შეხვედრა გაუმართა მას პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმმა.

კრებაზე დელეგატებმა გაუზიარეს მუშებს შთაბეჭდილება, რომელიც მიიღეს ლენინგრადში. ისინი მადლობას უძღვნიან მოსკოვის მუშებს ასეთი გულითადი მიღებისთვის რაც უფრო განამტკიცებს გერმანიისა და საბჭოთა მუშების კავშირს.

პროფკავშირების თავმჯდომარემ ამხ. დოგადოვმა დელეგაცია მიიწვია მოსკოვის წარმოებათა დასათვალიერებლათ, რომ თვითონვე დარწმუნდენ უშუალოდ, თუ როგორ ვითარდება საბჭოთა წარმოება და რა პირობებში ცხოვრობენ მუშები, რომ ამგვარად შეამოწმონ, რამდენად მართალია ბურჟუაზიულ პრესის ცნობანი.

დელეგაციის სახელით უპასუხა ფრაიბერგერმა. მან განაცხადა, რომ დელეგაციის პასუხს მოელის გერმანიის მრავალმილიონიანი მუშათა კლასი და ჩვენც ვფიცავთ, რომ სრული მიუდგომლობით გავაცნობთ საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მიღწევებს და აქაურ მუშათა კლასის ბრწყინვალე გამარჯვებასო.

მეორე დღეს დელეგაცია გაემგზავრა პუშკინის საბავშვო ქალაქში რომელიც მდებარეობს მოსკოვიდან 30 ვერსზე.

საბავშო სახლში დელეგაციას მიეგებენ პიონერები, მასწავლებლები და სათემო ორგანიზაციები დროშებით და მუსიკით. დელეგატებმა დაათვალიერეს საბავშვო სახლები. ბავშვებმა დელეგაციას ძღვნათ მიართვეს ილიჩის აკლდამის მოდელი. ჯგუფ-ჯგუფათ დაყოფილი დელეგატები დიდის სიამოვნებით ებაასებოდენ ბავშვებს.

ბოლოს დელეგატებმა ინახულეს ამხ. ლუნაჩარსკის სახელობის საბავშო მუსიკ. სასწავლებელი, სადაც დაესწრნენ საბავშვო კონცერტს. წასვლისას დელეგაციას ბავშვებმა გაუმართეს გულითადი გაცილება.

შვეციის მუშათა დელეგაცია

ლენინგრადში

ლენინგრადი, 21 ივლისი. შვედელ მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე ჩილბუმი გამოვიდა სიტყვით სოფლის მედიკმუშაკთა ყრილობაზე. მან აღნიშნა საბჭოთა რესპუბლიკის უდიდესი მიღწევანი.

დელეგაციის წევრები დამსწრეთ უზიარებენ იმ დიდ შთაბეჭდილებას, რაც მოახდინა მათზე „მელითონეთა დღესასწაულმა". დელეგაციის წევრი **პინგელი კი იმდენად არის მოხიბლული ყველაფრით, რომ ლენინგრადში აპირებს დარჩენას სამუდამოდ. „მოსკოვში უეჭველად შევეცდები, რომ დავრჩე სამუდამოდ რუს მუშებს შორის".**

დელეგაციის წევრები დაიყვენ პროფესიებათ და თვითოეულმა ჯგუფმა ინახულა თავიანთი შესაფერი წარმოება. ქალთა ჯგუფმა კი დაათვალიერა სკოლები და საბავშვო სახლები.

საღამოზე, საგანგებო მატარებლით დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვისაკენ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

მუშაობა შავი ქვის რკინის გზის ასაგებად

ახალსენაკი, 21 ივლისი. შავი ზღვის რკინის გზის ასაგებად სწარმოებს შპალების შესყიდვა და მზადდება საჭირო მასალები. სწარმოებს, აგრეთვე, მუშებისა და მოსამსახურეების შეკრება.

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის ცაკის მეორე სესია

ბაქო, 21 ივლისი. 20 ივლისს გაიხსნა აზერბეიჯანის ცაკის მეორე სესია. პირველად მოსმენილ იქნა მიწათ-მოქმედების კომისარიატის მოხსენება აზერბეიჯანის სასოფლო მეურნეობის აღორძინებისა და აღდგენის შესახებ. მომხსენებელმა წარმოადგინა დამუშავებული 5 წლის გეგმა მეურნეობის აღსადგენად. გეგმა დამუშავებულია საუკეთესო მეცნიერული ძალების მიერ.

ჰაეროპლან „მოლლა ნასრედინის" გადაცემა

ბაქო, 21 ივლისი. 20 ივლისს, საღ. 6 საათზე, მოხდა ავიაქიმის მიერ, კავკასიის წითელდროშოვან არმიისათვის იუნკერსის სისტემის ჰაეროდრომზე „მოლლა ნასრედინის" გადაცემა. გადაცემის დროს ჰაეროპლანზე თავი მოიყარა მუშების დიდმა მასამ.

ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროებში

ახალი მაღაროები.—ახალი დასახარისხებული განყოფილება და სატვირთო სადგური—მუშების ხელფასი.—ქვა ნახშირის მოპოებამ წელს 46 პროცენტით გადააჭარბა ომის წინა დროინდელ დონეს.—წელს შესრულებულია შეკვეთის მთელი 100 პროცენტები.—ფუთი ნახშირის თვითღირებულება დავიდა 11 კაპეიკამდე.

ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს ახალ მაღაროებში, სადაც ნახშირის ღირსება მაღალია, ხოლო ნახშირის ფენების სისქე 38 მეტრს აღწევს. ნახშირის დამუშავება მიმდინარეობს 6 ჰორიზონტზე, რომელნიც ერთი მეორეზე არიან დალაგებულნი 17 მეტრის სიმაღლეზე.

ჯერჯერობით მიწის ქვეშ მუშაობს 160 კაცი—ორ შეცვლაზე: ერთი ჯგუფი დღისით 7 საათს, მეორე ღამით 6 საათს. მაღაროებიდან ქვანახშირი ვაგონეტკებით იგზავნება დამხარისხებელ განყოფილებაში, რომელიც ახლახან იქნა გადაკეთებული.

განყოფილება დღეღამეში ახარისხებს 500 ტონა ქვანახშირს, ქვანახშირის გადარჩევას ხელით აწარმოებენ მუშები. გადარჩეული ნახშირი ფუნიკულიორის კანატზე გაბმული ვაგონეტკით იგზავნება სატვირთე სადგურში, რომელსაც შეუძლია მიიღოს 5.000 ტონა ქვანახშირი. სადგური ახლა ხან იქნა აგებული. დასახარისხებელი მოწყობილების და სატვირთო სადგურის აგება დაჯდა სულ 59.000 მანეთი.

მაღაროებს გარეთ გამოუკლებლად მუშაობს 202 კაცი დურგალი.

მთელ მაღაროების მუშათა მოსახლეობა—600 კაცის რაოდენობით დაბინავებული არის უვარგისს შენობაში. მუშა 30 პროცენტით დაავადებულია რევმატიზმით, რაც შედეგია ნესტიან მაღაროებში მუშაობისა.

მიწის ქვეშ მომუშავეები ყველა ნარდ სამუშაოზე არიან. საშუალოდ თვითეული მუშა ამუშავებს 45 ფ. ქვანახშირს დღე და ღამეში.

ჩვეულებრივი მუშის უმაღლესი კატეგორია აკეთებს დღეში არა უმეტეს 37 მან. 50 კაპეიკისა.

კლდის მტვრეველი მუშები ამაზე ნაკლებს—29 მან. უკეთეს შემთხვევაში—32 ნახ. მანეთს.

დასახარისხებელი განყოფილებიდან 250 მეტრს დაშორებით სამრეთისაკენ სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ახალ უბანში ქვანახშირის მოსაპოვებლად. ამ უბნიდან დასახარისხებელ განყოფილებისაკენ გაჰყავს მექანიკური დასაქანებელი დატვირთულ ვაგონეტკებისათვის. სულ მოსამზადებელი მუშაობა ჯდება—6000 მანეთი.

ყველა ახალ მაღაროებში და დასახარისხებელ განყოფილებაში მუშაობა სრულ დატვირთვით სწარმოებს. ნახშირის ყოველთვიური მოპოება უდრის 425 ათასს ფუთს. უკანასკნელ ხუთ წელში ომის წინ 1909—13 წლებში ნახშირის თვიური მოპოება უდრიდა საშუალოდ 291.600 ფუთს. ამგვარად ნახშირის მოპოება 1925 წელს აღემატება ომის წინა დროინდელ მოპოებას 46 პროცენტით.

ნახშირის ერთი საათის დამუშავება უფრო ინტენსიურია. მუშების რაოდენობა წელს მეტია 10—12 პროცენტით მასზე, რაც იყო მშვიდობიან დროებში.

ადმინისტრაცია შესდგება 3 ინჟინერისაგან, მარკშრეიდერისგან და კანტორის გამგისგან, რომელნიც თვიურად ღებულობენ 130 მანეთს თვითეული.

საკმაოთ არის აგრეთვე მოსამსახურეთა რიცხვი.

ნახშირის თვით ღირებულება შემცირებულია. 1922—23 წელს ერთი ფუთის თვითღირებულება უდრიდა—25 კაპეიკს, 1923—24 წელს—16,78 კაპეიკს, ხოლო 1924—25 წლის პირველ ნახევარში თვითღირებულებამ მიაღწია—11,65 კაპ. სამმართველოს განზრახვა აქვს კიდეს დაუკლოს თვითღირებულებას.

მიმდინარე წელს მაღაროებში შეასრულეს ყველა შეკვეთების 100 პროც, და კიდევ მოამარაგეს 60—70 ათასი ზედმეტი დამზადებული ქვანახშირი.

პარიტეტული კონტრ-რევოლუციის გასამართლება

მეხუთე დღე

(20 ივლისი)

საღამოს სხდომა

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

ალექსანდრე იასონის ძე მგალობლიშვილი

ახასიათებს ბრალდებულ მამალაძეს, როგორც მენშევიკურ პარტიის ძველ წევრს. ის ჯერ სემინარიაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ სწავლის გასავრცელებლად რუსეთში წავიდა. მენშევიკური ხელისუფლების დროს მუშაობას ეწევა, გასაბჭოების შემდეგ 1923 წლ. მე ოზურგეთის პარტკომის პრეზიდიუმის წევრი ვიყავი. ბრალდებული მამალაძე იმ ხანებში გურიაში იყო სოფ. ხევში.

მის შესახებ ჩვენ ისეთი ცნობები მოგვდიოდა, რომ მხდალი კაცია და საშიში არ არისო. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ სიმხდალე მას წინადაც ახასიათებდა. 1923 წ. დასაწყისში ის აჭარისტანში წავიდა.. შემდეგ რას აკეთებდა, არ ვიცი. არც ის ვიცი მიიღო თუ არა მონაწილეობა აგვისტოს გამოსვლებში. გავიგე, რომ ხულოში დაუპატიმრებიათ გამოსვლების შემდეგ.

სეით დევდარიანი

მე ვიყავი ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ჰქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების პოლიტიკას—ამბობს მოწმე. ჩვენი მუშაობა იმ ხნიდან იწყება, როდესაც დამთავრდა საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება საქართველოში. ამ მუშაობაში რამოდენიმე უმთავრესი მომენტებია. პირველი მომენტია დამარცხება ომში. დამარცხება მოხდა იმ დროს, როდესაც ხელში გვქონდა ძალა-უფლება, გვყავდა ჯარი და გვქონდა ყოველივე ის, რაც საჭიროა. მიუხედავათ ამისა მაინც დამარცხდა მაშინდელი ხელისუფლება.

აქედან მოწმეს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ როდესაც ეს ძალა, აღარ იყო მათ ხელში, მათ არ შეეძლოთ ფიქრი შეტევაზე გადასვლის შესახებ.

მეორე მომენტი იყო—ლენინის თეზისები, რომელიც ბათომში მივიღეთ. იქ ნათქვამი იყო, რომ საჭირო არის მოინახოს საერთო ენა და შეთანხმება მოხდეს ჟორდანიას მიმდევრებთან. ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ჟორდანიასაც ეთქვა ამის შესახებ, რომ შეთანხმება შესაძლებელი არისო.

მესამე მომენტი—ქუთაისის შეთანხმება არის. ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს ერთის მხრივ—გრიშა ლორთქიფანიძემ, ხოლო მეორეს მხრივ მამია ორახელაშვილმა.

მამია ორახელაშვილმა მაშინ სთქვა: თუ თქვენ არ იფიქრებთ შეიარაღებულ აჯანყების მოწყობას და მხოლოდ იდეიური მუშაობით დაკმაყოფილდებით, მაშინ მუშაობის საშუალებაც გექნებათ და გაზეთიც. ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეოთხე მომენტი იყო ბოლშევიკების ეკონომიურ პოლიტიკაში მომხდარი გარდატეხა. ბათომიდან რომ ვბრუნდებოდი, მე მაშინ წავიკითხე ლენინის თეზისები, მაშინ ჩემი დამოკიდებულება ამ ხელისუფლებისადმი შეიცვალა.

შემდეგ მოწმე აცხადებს, რომ მენშევიკური პარტია თანამშრომლობის გზაზე იდგა.

არაა მართალი ის აზრი, თითქოს ათი აპრილის რეზოლიუცია ხელს უშლიდა ამ თანამშრომლობას იმის გამო, რომ იქ წამოყენებული იყო ფორმულა დემოკრატიულ გზით სოციალიზმისაკენ. ჩვენ დავრჩით კიდეც ნახევრათ ლეგალური მუშაობაზე ცეკა იკრიბებოდა და კრებებზე ლეგალურ კითხვებს ვარჩევდით.

მოწმე აცხადებს, რომ მენშევიკური პარტია (და სხვა პარტიებიც ამ გზას ადგენ) ყოველ ღონეს ხმარობდა არ გამოეწვია გამწვავება ხელისუფლებასთან. ის გაურბოდა არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლას და სხვ.

მენშევიკურმა ცეკამ საქართველოს რევკომის შეკითხვაზე—სცნობენ თუ არა ისინი პროლეტარიატის დიქტატურას, გადაჭრით უარყოფენ თუ არა შეიარაღებულ აჯანყებას და ინტერვენციას,—უპასუხა, რომ არც შეიარაღებულ აჯანყებაზე და არც ინტერვენციაზე ის არ ფიქრობს და პროლეტარიატის დიქტატურასაც სცნობსო.

მაისის პირველ რიცხვებში დაიწყო რეპრესიები, რაც ჩვენ გაუგებრობათ გვეჩვენა, მაგრამ რეპრესიები შემდეგაც გაგრძელდა. ამ ხანებში მოწმე სოფელში წასულა და იქიდან მენშევიკური ცეკას დაჟინებული მოთხოვნით დაბრუნებულა 1922 წლის თებერვლის შუა რიცხვებში.

სოფელში ყოფნის დროს მე თვალყურს ვადევნებდი მდგომარეობას. მე გავიგე, რომ ამ ხნის განმავლობაში პარტია არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო. მე დაუპირისპირე ამ ფაქტს ის ფაქტი, რომ საქართველოდან გასული მთავრობა საზღვარგარეთ იყო, როგორც მთავრობა და არა როგორც ემიგრანტი. ეს დაპირისპირება მე მაშინებდა. როდესაც მე თბილისში ჩამოვედი, სილიბისტრო ჯიბლაძე (რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობდა პარტიას) უკვე ცოცხალი აღარ იყო. მე ვინახულე სხვა ამხანაგები და ცეკას პირველსავე სხდომაზე დავაყენე საკითხი ამ საშიშროების შესახებ. მაშინ ჰააგის კონფერენცია იყო და მისი იმედები გვქონდა.

ფიქრობდენ, რომ კონფერენცია ეტყვის ბოლშევიკებს და ისინიც გაიყვანდნენ ძალებსო. მე დავიწყე არალეგალური მუშაობა. ეს იყო ჩვენი მუშაობის მეორე ხანა. ამ ხნის განმავლობაში ცეკას ხაზი იყო—იდეიური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიარაღებულ აჯანყებაზე არ ყოფილა ფიქრი და ლაპარაკი.

მოწმე აცხადებს, რომ საზღვარგარეთიდან მიღებულ წერილების შინაარსის მიხედვით არც ჟორდანია იყო ჩხუბის ხასიათზე. კიდევ მეტი: ცეკა არალეგალური მუშაობის დროს იბრძოდა შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ.

ცეკაში მაშინ უაღრესად შეთანხმებული მუშაობა გვქონდა. ცეკას წევრები ერთი მეორეს უკავშირდებოდენ წერილების საშუალებით. გაზეთში გასაგზავნ მასალასაც კი ყველა წინასწარ ეცნობოდა სტამბაში გაგზავნამდი. ასეთი მუშაობა გვქონდა რამოდენიმე თვის განმავლობაში, ამ დროს მოხდა გამოსვლა დუშეთში და სხვაგან. სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ეს გამოსვლები დამოკიდებული არ ყოფილა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ გამოსვლები იმის მიზეზი იყო, რომ მაშინ შემოღებული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და ამ ნიადაგზე მოხდა გლეხობის უკმაყოფილება. ამ ხანებში საზღვარ-გარეთიდან ჩვენ კიდევ მივიღეთ წერილი, სადაც ჟორდანია წინადადებას გვაძლევდა დაგვეშალა პარტიზანული რაზმები.

მოწმე აცხადებს, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო პარტიზანული რაზმების დაშლა, ვინაიდან პარტიზანული რაზმები არ დაემორჩილებოდა ცენტრალურ კომიტეტს, მათი მონახვა, მათი კავშირის დაჭერა ძნელი იყო და სხვ.

მაგრამ ცეკა გამოსვლების წინააღმდეგი იყო, რასაც ამტკიცებს იმ ხანებში გამოსულ არალეგალურ გაზეთ „საქართველოს ხმა"-ში მოთავსებული მოწინავე და რეზოლიუცია. ამავე ხანებში დაიბეჭდა ფურცლები გამოსვლების წინააღმდეგ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ფურცლები არ გავრცელებულა. ცეკაში, მაშასადამე, არ ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა არც იდეურ და არც პოლიტიკურ ხაზის შესახებ ამ ხნის განმავლობაში.

1922 წელში მოხდა მშვიდობიანი დემონსტრაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს დემონსტრაცია იმ მოსაზრებით იყო მოწყობილი, რომ ქართველი ხალხის შეურიგებლობა დაემტკიცებია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. სხვა აზრი ამ დემონსტრაციას აქ არ ქონია. ამის მეტი მე არაფერი ვიცოდი, სანამ „ჩეკაში" არ მოვხდი. მოწმე აცხადებს, რომ მან საგანგებო კომისიაში გაიგო თითქოს ცეკა რაღაც სხვა მუშაობასაც აწარმოებდა, თითქოს ცეკას განკარგულებით ხდებოდა თავდასხმა მატარებლებზე და სხვ. მოწმეს აზრით ეს იყო კერძოთ აფერისტების პროვოკაცია, რაც ეს შესაძლებელია მოხდეს პოლიტიკურ მოძრაობის დროს. ასე მგონია მე ეს—აცხადებს მოწმე. როცა შეურიგებლობის პოლიტიკას ადგა პოლიტიკური პარტია ძალაუფლების წინააღმდეგ, ამ პროცესში მოსალოდნელია ასეთი მოვლენაც. შესაძლებელია, პარტიას არა აქვს კავშირი მასთან, მაგრამ ბრალი მასაც ედება.

შემდეგ მოწმე შეეხო პარტიულ კომიტეტის მუშაობას და განაცხადა, რომ პარიტეტული კომიტეტს არ ქონია მიზნად დასახული აჯანყების მოწყობა, ის მხოლოდ იმისათვის არსებ [illegible] ხელისუფლება საქართველ [illegible] საქართველოს, სოციალ-დემოკრატ მოითხოვდენ, რომ ჰეგემონია ტეტულ კომიტეტში მათ ხელში ფილიყო.

მოწმე გადადის მესამე პერი დახასიათებაზე და ეხება იმ პარტიულ მუშაობაში, რომ ხომერიკის ჩამოსვლის შემდეგ ყო. მოწმე აცხადებს, რომ ხომე მა ხელში ჩაიგდო პარტიული ო განიზაციები და თვით ეწეოდა შაობას.

ხომერიკს მოწმე ახასიათებს გორც არა კოლეგიალურ მუ მაგრამ დასძენს, რომ ხომერიკი იარაღებული აჯანყების წინააღ გი იყოო. ის კომუნისტურ ხ სუფლებასთან შეთანხმების მომ იყო.

— ნოე ხომერიკის მუშაო პასუხისმგებელი არ შეიძლება დეს არც ცეკა, არც პარიტე კომიტეტი,—აცხადებს მოწმე, გან მას არ შეეძლო კოლლექტ მუშაობის წარმოება:

— მე პირადათ არ ვიხსნი ხისმგებლობას თავიდან, მაგრამ ხომერიკის მუშაობაში ვერც ვერც პარტია ვერ იკისრებს ხისმგებლობას, რადგან ცეკამ იცოდა არაფერი იმ მასალების სახებ, რომელიც საგანგებო სიას ჩაუვარდა ხელში მის დაპატიმრების დროს.

ოკუჯავა (ბრალმდებელი): თქვენ ჩვენებას აძლევდით საგან ბო კომისიაში, ძალას გატანდენ მე ან ღელავდით თუ არა.

დევდარიანი: არავითარი ძალ ტანება არ ყოფილა, სრულიად შეიდებულათ ვაძლევდი ჩვენებას.

ოკუჯავა: საიდან მოგდიოდ ფულები?

დევდარიანი: ხომერიკმა ერთ მითხრა, რომ მეორე ინტერნაცი ნალმა შეაგროვა მუშებში და ძლება ამ ფულებში გატანილი ხების ნაწილიც ურევიაო.

ოკუჯავა: ხომერიკმა გით თქვენ, რომ ყოველ კვირას მოგდ ოდა ორი-სამი ათასი ლირა; გორ გგონიათ თქვენ მუშებში გროვებდენ ამდენ ფულს?

დევდარიანი: მეც ძალიან მაინტ რესებდა ეს კითხვა. მაგრამ არ ვიცი დანამდვილებით; ვიცი, მეორე ინტერნაციონალმა გაი თავის სალაროდან ერთგვარი თან

ოკუჯავა: აძლევდით თუ თქვენ ფულებს პარიტეტულ კომ ტეტს.

დევდარიანი: ფინანსიური ანგა შების არაფერი ვიცოდი.

ოკუჯავა: მეორე ინტერნაციონა ში ამ ფულებს თქვენი სოციალ ტური პარტიისათვის იძლეოდა, პარიტეტული კომიტეტისათვის რომელშიაც სხვა პარტიებიც შე ოდენ.

დევდარიანი: საზღვარ-გარეთ ნოე ჟორდანიას. ალბათ მას ლევდენ. მე არ ვიცი, აძლევდენ არა პარიტეტულ კომიტეტს.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირი და სასოფ.-სამეურნეო კოოპერაცია

თუ რა დიდი როლი ენიჭება ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას დღეს, მით უმეტეს, როდესაც პარტიის მიერ გადმოსროლილია ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ"—ყველასათვის ცხადია. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩვენი კომკავშირის მონაწილეობაც რომ ჯერ-ჯერობით საგრძნობლად მოისუსტებს—ეს ეჭვს გარეშეა.

თუმცა, მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში კომკავშირის სოფლის უჯრედებს ემჩნევათ ერთგვარი სიცხოველე ამ მიმართულებით, მაგრამ ეს სიცხოველე თავისი შედეგებით ჯერ კიდევ უმნიშვნელოა.

საკავშირო მასსას განსაკუთრებით სოფლად დღესაც არა აქვს სწორი წარმოდგენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანების შესახებ.

მას ჯერ სავსებით ვერ შეუთვისებია კოოპერატიაში ჩაბმის საჭიროება და ფართე მშრომელი მოსახლეობის კოოპერაციულად გაერთიანების, შეკავშირების აუცილებლობა.

ლოზუნგი, რომ თვითეული კომკავშირელი უნდა იყვეს კოოპერაციის წევრი,—ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გატარებული.

ცხადია, ამ არანორმალურ მდგომარეობას უნდა გამოეცხადოს სასტიკ ბრძოლა და ის ძირფესვიანად აღმოფხვრილი უნდა იქნეს.

მაგრამ უმთავრესად რა არის ამისათვის საჭირო?

როგორც ვიცით, ჩვენი გლეხური ახალგაზრდობის ძირითად მასსას შეადგენს ის ახალგაზრდობა, რომელიც მუშაობს თავისი საკუთარ, თავისი ოჯახის მეურნეობაში. აი ამ შემთხვევაში ყოველი კომკავშირელის ძალ-ღონე, ენერგია მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ მან თავისი მეურნეობა მოაწყოს სამაგალითოდ, კოოპერატიულ საფუძვლებზე, აგრო-კულტურის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ამით კომკავშირი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას გაუწევს მეტად დიდ და საქმიან დახმარებას იმ მხრივ, რომ ასეთი გზით კომკავშირეები შესძლებენ მიიზიდონ სოფლის გლეხკაცობა და მასიურად ჩააბან, დარაზმონ ისინიც კოოპერაციაში.

ასეთია პირველი და ერთი უძირითადესი ამოცანა, რომელიც სდგას კომკავშირის წინაშე და მოითხოვს სათანადო ნაბიჯებს.

მეორე ამოცანა, რომელიც კომკავშირისათვის არა ნაკლები მნიშვნელობისაა, მდგომარეობს იმაში, რომ მომზადებულ იქნას კოოპერატორ-ორგანიზატორ მუშაკთა კადრი.

ამ ამოცანის ცხოვრებაში პრაქტიკულად გადაჭრა შესაძლებელია ორი გზით: პირველი — მუდმივი, სისტემატიური მომზადებით თვით კომკავშირის რიგებში კოოპერაციის მუშაობისა; მეორე — კოოპერაციის ქვედა ქსელებისათვის მუშაკთა კადრების მასსიური მომზადება გლეხური ახალგაზრდობის სკოლების და სასოფლო-სამეურნეო წრეების, კურსების საშუალებით, რომლებსაც აწყობს და ხელმძღვანელობს კომკავშირი და თვით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

ასეთია მოკლეთ ის მორიგი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ მეტად სერიოზულ ყურადღებას ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

ცოცხალა.

პარტიული მუშაობის გაძლიერებისათვის სოფლად

სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერებისათვის, სხვათა შორის, საჭიროა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის იმ გვარად დაყენება, რომ იგი ადვილად ახერხებდეს სოფლის ცხოვრების ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხების გარკვევას. სოფლის უჯრედმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეისწავლოს არა მარტო ის შენიშვნები, რომელსიც ძალამდგომი პარტიული ორგანო იძლევა, არამედ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც სოფლის გლეხკაცობის მასა აყენებს.

სოფლის პარტუჯრედის მოვალეობათ უნდა გახდეს ცოდნა, თუ რითი ცხოვრობს და რა აწუხებს სოფლის მოსახლეობას.

მაგრამ სოფლად საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გასაძლიერებლად აუცილებელია, რომ ამ მუშაობაში გამოყენებული იქნას ყველა სოფლად არსებული ცოცხალი ძალები, რადგან როგორც ჩვენი მასწავლებელი ლენინი გვეუბნებოდა: კომუნისტური საზოგადოების მარტო კომუნისტების ხელებით აგება ეს ბავშვური ოცნებაა.

სოფლად პარტიას ჰყავს ყველაზედ უფრო საიმედო მოკავშირე-კომკავშირი, რომელიც პარტიის სხეულის ნაწილს შეადგენს. მისი მიზანშეწონილი გამოყენება, ცხადია, გამაგრებს ერთის მხრივ პარტიულ მუშაობას და მეორეს მხრივ კომკავშირს შეაჩვევს საზოგადოებრივ აღმშენებლობას.

მეორე მოკავშირე—ეს უპარტიო სოფლის გლეხური აქტივია, რომლის გამოყენება ერთ-ერთი მორიგი ამოცანაა ჩვენი პარტიის წინაშე. ამხ. სტალინმა სთქვა: „პარტიის მორიგი ამოცანა იმაშია, რომ სოფლის აქტივი პარტიის ირგვლივ შემოკრიბოთ, რომლიდანაც პარტიას შეეძლება ახალ ახალი ძალები მიიღოსო". ამასთანავე ერთად საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში გამოყენებულ უნდა იქნას მასაიც სო ლად არსებული მოკავშირე—სო ლის მასწავლებლობაც.

არის უჯრედი, რომელსაც სა ლება აქვს ისარგებლოს ასეთი კავშირეებით და ის მათ ვერ გამ ყენებს. ასეთი უჯრედი, რასაკვირ ველია, ჯერ კიდევ ვერ ასულა ვის დანიშნულების დონე და ვერ უგნია პარტიის უახლოესი პოლ ტიკა.

შემდეგი ამოცანა—სოფლად შაობის ძირითადი ამოცანების კვევა, რაიც დაკავშირებულია ორე საკითხთან, რომ უჯრედი ვილად უნდა ერკვეოდეს სოფლ არსებული მუშაობის პირობებ მაგალ. თუ სადმე სოფლის საბ ცუდათ მუშაობს ან თავის დრო არ ურიგებს ანგარიშს თავის ჩევლებს და მუშათა ერთგვარი როკრატიულ ხასიათს იღებს, კომუჯრედმა შესაფერისი საგიტ ციო კამპანიის ჩატარებით გაურკვიოს სოფლის მოსახლეობ საბჭოს ნამდვილი დანიშნულება ხელი შეუწყოს საბჭოს ირგვლივ მოუყაროს უპარტიო გლეხკაც ბას, რომ მით საბჭოს მუშაობა ცხოველდეს.

პირველად სოფლად საგიტაცი საპროპაგანდო მუშაობის სათანად დონეზე დაყენებით უფრო გაეცნობა გლეხკაცობა ჩვენი პა ტიის სოფლად მუშაობის ამოცანებ მეორეს მხრივ სოფლის აქტივ მიზანშეწონილი გამოყენებით ჩ ხელს შეუწყობთ სოფლის კულტ რულ-ეკონომიურ გაჯანსაღებას.

ა. ჟ

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

დილიკაურის თემის უჯრედი

(შორაპნის მაზრა)

ზემოხსენებულ თემში არსებობს კომკავშირის უჯრედი, რომელიც თავის გარშემო ითვლის 20 წევრს და ოცამდე კანდიდატს. უჯრედს მჭიდრო კავშირი აქვს ზესტაფონის რაიკომთან, რომლის წარმომადგენელი სისტემატიურად ესწრება უჯრედის სხდომებს და სათანადო ხელმძღვანელობასაც უწევს მას.

ამ უკანასკნელ ხანებში უჯრედთან დაარსებული იქნა აგრო-წრე, რომლის მუშაობას მეტად დიდი შედეგები მოაქვს.

ამას წინად უჯრედმა კოლექტ ურად დაამუშავა აგრეთვე ორ ქ ვამდე საფონდო მიწა, საიდან მთელი შრომის ნაყოფი მოხმარდ ადგილობრივი შრომის სკოლას.

აქ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რო უჯრედის ზოგიერთა წევრებში შ ჩნეული იყო დისციპლინის დარღვ ვა. ადგილი ჰქონდა ლოთობას, რა საც უჯრედის ბიურომ მიაქცია როვანი ყურადღება, მიიღო მის ნააღმდეგ ზომები და ის კიდე აღმოფხვრა.

ბ. საოთაძე

ნაციონალური მშენებლობა წითელ არმიაში

ორშაბათს, 20 ივლისს, თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს წევრი, წითელი კავალერიის ინსპექტორი ამხ. ბუდიონი და უკრაინის და ყირიმის წითელი არმიის სარდალი ამხ. ეგოროვი, რომლებიც ამ ჟამათ შვებულებაში იმყოფებიან.

ამავე დღეს ამხ. ბუდიონი დაესწრო კავკასიის წითელდროშოვან არმიის ოლიმპიადას, რომელმაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამხ. ბუდიონიმ ამხ. კორკის თანხლებით დაათვალიერა აგრეთვე კავკასიის წითელდროშოვან არმიის ცხენოსანთა შეიარაღებული ნაწილი მის საზაფხულო ბანაკში—ღრმა-ღელეში, სადაც გაიმართა საჩვენებელი ბრძოლა.

შეეხო რა თავის შთაბეჭდილებებს, ამხ. ბუდიონიმ განაცხადა:

— კავკასიის ბრიგადის კავალერისტებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. სჩანს წინსვლა. ჩვენმა ცხენოსანმა ნაწილმა არა თუ გაიარა საზამთრო სწავლების კურსი, არამედ მან მიმდინარე ზაფხულზე განამტკიცა კიდეც ეს ცოდნა.

გუშინ ამხ. ბუდიონი საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში.

საუბარი უკრაინის და ყირიმის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან—ამხ. ეგოროვთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ეგოროვმა წითელი არმიის ნაციონალური მშენებლობის შესახებ, განაცხადა შემდეგი:

— საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მშენებლობას ჩვენ საფუძვლათ უდებთ არა მარტო ტერიტორიალურ-სამილიციო ხასიათის პრინციპებს, არამედ ნაციონალური პოლიტიკის საკითხსაც, რომელიც არსებითად ჩვენი საბჭოთა კავშირის სიძლიერის და სიმაგრის გადამწყვეტი ფაქტორია.

არმია ყველა დროის და ყველა ხალხების მოაზროვნეთა გამოთქმით, იყო და არის პირდაპირი გამოხატულება სახელმწიფოებრივი რეჟიმის პოლიტიკისა და კლასიურ ძალთა ურთიერთობისა.

ჩვენი მუშათა და გლეხთა წითელი არმია არის არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელების უფლებათა დაცვის იარაღი.

კაცობრიობის განვითარების ისტორიული პროცესი პირველათ ხედავს თავისი კლასიური ინტერესების გამოხატულების ისეთ კონკრეტიულ ფორმას, როგორიც არის პროლეტარიატის დიქტატურა. თავისი უფლებების შეიარაღებული დაცვის მხრივ ჩვენს კავშირს ყავს თავისი კლასიური წითელი არმია.

ჩვენი კავშირის დაცვის საკითხში ჩვენ გამოვდივართ იმ ძირითადი წინასწარი პირობიდან, რომლის შესახებ ასე მკაფიოთ ლაპარაკობდა ჩვენი დიდი ბელადი ამხ. ლენინი.

ეს წინასწარი დებულება ამბობს, რომ ჩვენი საბჭოთა სამშობლო მით უფრო უფრო მტკიცე იქნება სამხედრო თავდაცვის მხრივ რაც უფრო მაგარი და ძლიერი იქნება თვითეული მისი შემადგენელი ნაწილი. უბრალო ენაზე ეს ნიშნავს იმას, რომ ნამდვილათ გატარებული იქნეს ცხოვრებაში პრინციპი—ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

ჩვენი წითელი არმიის მშენებლობაში დიდი ადგილი უჭირავს ნაციონალური ნაწილების შექმნას. ჩვენ საბჭოთა კავშირის თავდაცვა ვერ წარმოგვიდგენია იმის გარეშე, თუ ამ თავდაცვაში მონაწილეობა არ მიიღეს ყველა საკავშირო ნაციონალურმა ძალებმა.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობით საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი ორგანიზაციული და პრაქტიკული მუშაობა სწარმოებს ნაციონალურ ნაწილებში.

მე, როგორც კავკასიის წითელდროშოვან არმიის ყოფილ სარდალს და ამჟამად უკრაინის და ყირიმის წითელი ნაწილების სარდალს მუშაობა მახდება სწორედ წითელი არმიის ნაციონალური ნაწილების მშენებლობის სფეროში. ვადარებ რა ერთმანეთს ამიერ-კავკასიაში და უკრაინაში და ყირიმში წარმოებულ მუშაობის შედეგებს, მე მტკიცედ და გადაჭრით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის ტერიტორიალური—სამილიციო სისტემის პრინციპი უზრუნველჰყოფს ჩვენი კავშირის დავდაცვის უნარიანობას.

წითელი ნაწილების ნაციონალური მშენებლობა თავის სრულ გამოხატულებას პოულობს ამ სისტემაში, რადგან ეს სისტემა შეიცავს ყველა იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერების მშრომელთა თავისუფალ ნებისყოფას.

მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წითელი ნაწილების ნაციონალური მშენებლობა არა მარტო ვითარდება და ფართოვდება, არამედ მას აქვს უკვე მტკიცე საფუძვლები ნაციონალური პოლიტიკის იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვა ვლადიმერ ილიჩმა.

მის ანდერძს ჩვენ სავსებით შევასრულებთ. საბჭოთა კავშირს, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ციხე-სიმაგრეს, ყავს ისეთი შეიარაღებული ძალა—წითელი არმია, რომლის სიძლიერე არა ერთხელ უგრძვნიათ მის მტრებს.

ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ როგორი განსაცდელიც არ უნდა მოგველოდეს მომავალში, მუშათა კლასი, რომელსაც ყავს მძლავრი და დაუძლეველი წითელი არმია, შესძლებს მის გათავლახვას.

მე ამიერ-კავკასიის და საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში ჩამოვედი დროებით, შვებულების გამო. ვსარგებლობ რა შემთხვევით, მე უკრაინის და ყირიმის მუშების, გლეხების და აგრეთვე წითელი არმიის მებრძოლების სახელით მხურვალე და ძმურ სალამს უგზავნი ა/კ. მშრომელებს და მათ შეიარაღებულ ავანგარდს—კავკასიის წითელ დროშოვან არმიას.

სააქციონერო საზ-ბა „ჩემოს“ ლიკვიდაცია

გუშინ, დღის 12 საათზე, შესდგა სააქციონერო საზოგადოება „ჩემო“-ში შემავალ შავი ქვის სამრეწველო ფირმების წარმომადგენელთა თათბირი. როგორც გამოირკვა წინა დღით არჩეულ სამანდატო კომისიის მოხსენებიდან, სხდომაზე დაესწრენ ყველა ფირმები, გარდა ორისა, სახელდობრ „კარუტო“ და „ბარდენტალენ“-ი, რომელთა წარმომადგენლებმა ფირმის დირექციის სახელით, შეიტანეს წერილობით პროტესტი ლიკვიდაციის წინააღმდეგ.

თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია საზოგადოების ლიკვიდაციის აუცილებლობა, ამასთანავე სალიკვიდაციო დროთ დანიშნულია 25 ივლისი.

ლიკვიდაციის ჩატარებლად კრება ირჩევს სალიკვიდაციო კომისიის შემდეგი შემადგენლობით: გერმან მგალობლიშვილი, კარპე მოდებაძე, ალ. ჯაყელი, ისიდ. ვარაზაშვილი და რადიჩი. გარდა ამისა კრება ამტკიცებს ინსტრუქციას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ამ კომისიამ ლიკვიდაციის გატარების დროს.

თანახმად ამ ინსტრუქციისა კომისიას ევალება მოახდინოს საქმეების ლიკვიდაცია მიიღოს ის თანხები, რომელიც ერგება საზოგადოებას და სხვა. კომისიამ უნდა წარუდგინოს ანგარიში სააქციონერო საზ-ბა „ჩემო“-ს უკანასკნელ კრებას პირველ ენკენისთვემდი და აგრეთვე უნდა მოახსენოს სალიკვიდაციო მუშაობის შედეგების შესახებ.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ჭიათურის ალმასკომის განცხადება იმ მუშათა სახლის გადაცემის შესახებ, რომელიც ჭიათურაშიააშენა საზოგადოება „ჩემო“-მ. ამ საკითხის გადაწყვეტა გადადებულია საზოგადოების საბოლოო ლიკვიდაციამდე და ანგარიშების გამორკვევამდე.

ბოლოს გამოდის ალ. ჯაყელი განცხადებით მარგანეცის მრეწველთა ყრილობის ყოფ. საბჭოს პენსიონერების და სტიპენდიანტების ბედის შესახებ; იგი აღნიშნავს, რომ „ჩემო“-ს ლიკვიდაციით, ხდება მარგანეცის სამმართველოს ლიკვიდაციაც ასე, რომ ეს პენსიონერები და სტიპენდიანტები რჩებიან ბედის ანაბარად.

კრება ადგენს გადასცეს ეს საკითხი სალიკვიდაციო კომისიას განსახილველად ისე, რომ ამ უკანასკნელმა წარუდგინოს თავისი დასკვნა უკანასკნელ კრებას.

კრებამ დაადგინა აგრეთვე, ეთხოვოს მორიგ საერთო კრებას გადასდოს 98.775 მანეთი შემდეგ დაწესებულებათა სასარგებლოდ:

1) საქართველოს უმაღლეს სასწავლებლისათვის—22.245 მ.

2) საქ. „წითელი ჯვარი“-ს საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად—10.000 მან.

3) სამთამადნო მუშაკთა პროფკავშირს და ჭიათურაში მუშათა კლუბის მოსაწყობად—10.000 მან.

4) ჭიათურის თეატრის მოსაწყობად—10.000 მ.

5) პროფ. მოსეშვილის ქიმიურ ლაბორატორიის საჭიროებისათვის—5.000 მან. და სხვა.

ბიდონის ქარხნის მუშაობა

ერთი კვირის წინად ბათომში დაიწყო მუშაობა ბიდონის ქარხანამ, რომელსაც ძირითად ნედლეულ მასალას თეთრს თუნუქს და კალას აწვდის ნავთსინდიკატი. ხელშეკრულების თანახმად ქარხანამ უნდა დამზადოს „ნავთსინდიკატის“ საჭიროებისათვის 1.200 ათასი ბიდონი, ზაკავსტორგისათვის 200,000 ბიდონი ერთი წლის განმავლობაში დღეღამეში ქარხანა ამზადებს საშუალოდ 5—6 ათას ბიდონს. შეუძლია სრული დატვირთვის დროს 10—12 ათასის დამზადებაც. ჯერჯერობით ქარხანაში მუშაობს 80 კაცი

ღვინის მოსავალი საქართველოში

ვენახების მდგომარეობისა და ღვინის მოსალოდნელი მოსავალის შესახებ ჩვენს თანამშრომელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტში აცნობეს შემდეგი:

1924—25 წლის მეტათ ცივმა და სუსხიანმა ზამთარმა დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს მევენახეობას. ყინვებმა დააზარალა კახეთში ვენახების მთელი სივრცის 30 პროცენტი, ალაიანში (ქართლი) ყინვებისაგან დაიღუპა 3 მეოთხედი დესეტინა ვენახი; ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ალაიანის სანერგეში ვაზების ზედა ნაწილი სრულებით გადამხმარია, ხოლო ვაზების ძირი ცოცხალია, რომელიც უკვე იძლევა ახალი ნერგებს; ასე რომ ორ უახლოეს წელში, ჩვენის აზრით, ეს ნერგი გამოიღებს ნაყოფს.

მუხრანში დაიღუპა ვენახების 50 პროც, წინანდალში, მუკუზანში და ნაფარეულში—25 პროც., ზოგიერთ რაიონებში კი დაიღუპა ვენახების მთელი სივრცე.

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამოანგარიშებით დაღუპულ ვენახების სივრცე უდრის 2.100 დესეტინას, ხოლო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ სპეციალური გამოკვლევის თანახმათ, ეს სივრცე შეადგენს 2.160 დესეტინას.

სახალხო მამულების ტრესტმა მიმდინარე წელში გლეხკაცობისაგან შეიძინა და გაყიდა 100.000 ვედრო ღვინო. ამას გარდა იმერეთში გადამუშავებული იქნა 50.000 ვედრო ღვინო (ნაწილობრივ გაფუჭებული და ნაწილობრივ საღი), საიდანაც მიღებული იქნა სპირტი და კონიაკი.

ტრესტმა დაამზადა აგრეთვე პორტვეინის და მადერის ტიპის ღვინო 42.000 ვედროს რაოდენობით და 70.000 ვედრო ევროპიული ხარისხების ღვინო.

რაც შეეხება ღვინის მოსალოდნელ მოსავალს საქართველოში, უნდა ითქვას, რომ ვენახის საკმაოთ დიდი სივრცის დაღუპვის გამო ის შედარებით მცირე იქნება.

მთელს საქართველოში მოვა დაახლოვებით ხუთი მილიონი ვედრო ღვინო, ხოლო სახალხო მამულებში შეგროვებული იქნება არა უმეტეს 60.000 ვედროსი.

აქვე უნდა ითქვას, რომ გლეხების ვენახების აღდგენას და გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს მევენახე-მეღვინეთა კოოპერატიული ამხანაგობების გაერთიანება ერთ კოოპერატიულ ცენტრში. ეს ცენტრი მიიღებს ყველა ზომებს, რომ თავის დროზე მიაწოდოს თავის წევრებს ყველა საჭირო იარაღ-მანქანები და სეტყვისაგან თავდასაცავი საშუალებანი.

სახალხო მამულების ტრესტს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მეღვინეობის ცენტრთან. ის რჩება დამოუკიდებელ ორგანიზაციათ, რომელიც წინანდებურათ გააგრძელებს თავის მუშაობას ღვინის დამზადების და გასაღების დარგში.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

15 ივლისისათვის

(ამიერ-კავკასიის ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცნობებით)

15 ივლისისათვის ამიერ-კავკასიის მრავალ ადგილებში უკვე დაწყებული იყო მოსავლის შეგროვება. შემოდგომის ნათესების მდგომარეობა 15 ივლისისათვის სავსებით გამოირკვა; გაზაფხულის ნათესები კი, განსაკუთრებით სიმინდი, ჯერ კიდევ ზრდის სტადიაშია.

ივლისის პირველი ნახევარის ამინდი საერთოდ ხელსაყრელი იყო პურის მომწიფებისა და ტეხნიკური კულტურების განვითარებისათვის.

მშრალი ამინდი აზერბეიჯანში და სომხეთში ხელს უწყობდა პურის მომკას.

ნათესების საერთო მდგომარეობა ამიერკ-ავკასიაში განაგრძობდა გაუმჯობესებას და მთავარი პურეულის მდგომარეობა 15 ივლისისათვის ხასიათდება 3,0 ნიშნით.

ამრიგათ, პურეულის მოსავალი ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წელში მოსალოდნელია საშუალო. 1924 წლის 15 ივლისისათვის ნათესების მდგომარეობა ხასიათდებოდა 2,5 ნიშნით, ე. ი. 1925 წლის მოსავალი ცქეთესია შარშანდელ მოსავალზე 0,5 ნიშნით ანდა 20 პროც.

ნაოსების მდგომარეობა ამიერკავკასიაში 15 ივლისისათვის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

შემოდგომის ნათესები—2,8, გაზაფხულის ნათესები—3,2, მთავარი პურეული—3,0. შარშანდელთან შედარებით მთავარი პურეულის მდგომარეობა გაუმჯობესდა 0,1 ნიშნით.

ცალკე კულტურების მიხედვით ნათესების მდგომარეობა ასეთია: შემოდგომის პური—2,8, შემოდგომის ქერი—2,8, გაზაფხულის პური—2,7, გაზაფხულის ქერი—2,9, სიმინდი—3,4, მთავარი პურეული—3,0.

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა წარსულ წელთან შედარებით უცვლელი დარჩა (მდგომარეობა საშუალოს უახლოვდება).

გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა, გარდა სიმინდისა, უმნიშვნელოთ გაუარესდა- -0,1 ნიშნით. გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა უმთავრესათ გაუარესდა სომხეთში.

საქართველოში ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესდა ახალქალაქის, ახალციხის, თელავის, ზუგდიდის, ქუთაისის, რაჭის და სენაკის მაზრებში. მდგომარეობა უცვლელია ბორჩალოს, გორის, დუშეთის, სიღნაღის და თბილისის მაზრებში (3,3 ნიშანი), სამხრეთ-ოსეთში—(2,9) ლეჩხუმის, ოზურგეთის, შორაპნის მაზრებში და აჭარისტანში (3,9).

ნათესების მდგომარეობა გაუარესდა აფხაზეთში (3,4 ნიშანი 3,6 ნაცვლად, როგორიც იყო 1-ლ ივნისისათვის).

საქართველოს ნათესების საერთო მდგომარეობა ხასიათდება 3,3 ნიშნით, ე. ი. მოსავალი საშუალო იქნება.

ბაღების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში აღნიშნული დროის განმავლობაში რამოდენიმეთ გაუმჯობესდა. საერთო ნიშნია—3,0.

ვენახების საერთო მდგომარეობა უცვლელია—3,0. ცალკე რესპუბლიკებში: აზერბეიჯანში—3,0, სომხეთში—2,2, საქართველოში—3,3.

ვენახების მდგომარეობა გაუმჯობესდა ერევანის, ბორჩალოს და თბილისის მაზრებში, გაუარესდა—ზაქათალის, სიღნაღის, თელავის, ქუთაისის და რაჭის მაზრებში.

ბამბის ნათესების მდგომარეობა უცვლელია (3,6). თამბაქოს ნათესების მდგომარეობა საშუალოა (3,3).

თბილისის საბჭოს სექციებში

სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის სექცია

ამხ. ვაწაძე აკეთებს მოხსენებას სოფლის მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების ხუთი წლის საპერსპექტივო გეგმის შესახებ. იგი ეხება მიწების საერთო სივრცეს თბილისის მაზრაში ცალ-ცალკე და აღნიშნავს, რომ მაზრაში უვარგისი მიწების რაოდენობა შეადგენს 40 პროც.-ს. იგი ახასიათებს ამა თუ იმ ხარისხის მიწების შემოსავალს და აღნიშნავს, რომ თბილისის მაზრის გლეხობის შემოსავლიანობა დაახლოებით წლიურათ გამოიხატება 10.000.000 მანეთში. გასავალი კი უდრის 15.000.000 მან.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშა ხელს და საქონლის რაოდენობას მაზრაში და აღნიშნავს, რომ გლეხკაცობის 41 პროც.-ს არა ჰყავს მუშა საქონელი, 42 პროც.-ს მეწველი საქონელი და 20 პროც. სრულიად უსაქონლოა.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე მეურნეობის სხვადასხვა დარგების მდგომარეობას და მელიორაციის საკითხს. დასასრულ აღნიშნავს, რომ საპერსპექტივო გეგმაში გათვალისწინებულ პირველი წლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის სასოფლო მეურნეობის დარგში საჭირო 450.000 მანეთი.

მოხსენების დასასრულს, სექცია ანაწილებს საპერსპექტივო გეგმაში გათვალისწინებულ პირველი წლის ხარჯებს შემდეგნაირად:

მაზრაში. მიწად-მოწყობა—20.000 მან. სავეტერინარო დახმარება—45.000 მან. მეურნეობის განვითარებისათვის—10.000 მან. აგროპუნქტებისათვის—50.000 მან. მეფუტკრეობისათვის სახელოსნოს მოწყობა—15.000 მან. ორი „პოლიტი“-ს სისტემის ტრაქტორის შესაძენათ—14.000 მან. ერთი სალეწი მანქანის შესაძენად—4.000 მან. დანარჩენი თანხები მოხმარდება სხვადასხვა სამეურნეო იარაღების შეძენას.

ქალაქში. ვეტდახმარება—30.000 მან. და კანცელარია—20.000

კომუნალური სექცია

თბილისის აბანოების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იუზუპოვი, რომელიც ეხება აბანოების მდგომარეობას საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, როდესაც ისინი დანგრევის პირამდე იყვნენ მიყვანილნი და მის შემდეგ, როდესაც მათ კაპიტალური შეკეთება გაუკეთეს. ამის შემდეგ მოქალაქეთა გატარების რაოდენობა აბანოებში, საგრძნობლათ გაზრდილა და იქ ზედმიწევნით არის დაცული ჰიგიენური პირობები.

სექცია აბანოების მუშაობას დამაკმაყოფილებლათ სთვლის.

ჯანმრთელობის სექცია

ჭლექის სამდლიურის შესახებ მოხსენებას აკეთებს ექიმი კამალოვი. იგი ეხება, თუ როგორ იყო მოწყობილი ორგანიზაცია კამპანიის ჩატარებისა. საბოლოო შედეგები კომისიის მუშაობისა ჯერ-ჯერობით სავსებით არა არის გამორკვეული. საერთოდ, წინასწარ მუშაობას კომისიებისას სექცია დამაკმაყოფილებლად სთვლის.

ჭლექის დისპანსერის შესახებ

ექიმი კამალოვი ეხება დისპანსერის მნიშვნელობას ჭლექთან ბრძოლის მიზნით და აღნიშნავს იმ საშუალებებს, რომელიც საჭიროა მისი გაუმჯობესებისათვის. მოხსენების შემდეგ სექცია სთხოვს ალმასკომის პრეზიდიუმს მოახდინოს განკარგულება, რათა გამოძებნილ იქნეს დისპანსერისათვის საშუალებები, რადგან იგი წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავათ.

ვენერიული დისპანსერი

ექიმი ლულაძე აკეთებს მოხსენებას ვენერიული დისპანსერის დაარსების მნიშვნელობის შესახებ.

სექცია ამ მოხსენებას იღებს ცნობათ და სთვლის მას დამაკმაყოფილებლათ. იგი მიმართავს ალმასკომის პრეზიდიუმს თხოვნით მოახდინოს განკარგულება, რომ ვენერიულ დისპანსერს მიეცეს ერთი დარაბა, საიდანაც მოეწყობა დისპანსერში ცალკე შესავალი ქალებისათვის.

ორშაბათი დასასვენებელი დღეა

დადგენილება № 38

საქ. საბჭ. სოც. რესპუბ. შრომის სახალხო კომისარიატისა 1925 წლის ივლისი 21-ის.

შრომის კანონთა კოდექსის 112 მუხლის თანახმად საქ. საბჭ. სოც. რესპ. შრომის სახალხო კომისარიატი საქ. პროფ-კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

1. ოშაბათი ივლისის 27—დასვენების განსაკუთრებულ დღეთ ცხადდება.

შენიშვნა: შემდეგ დასვენების განსაკუთრებულ დღეთ გამოცხადებული იქნება აგვისტოს 15.

2. მუშაობა ამ დღეს უნდა სწარმოებდეს შემდეგ წარმოება-დაწესებულებებში: წყალსადენი, ელექტრო-სადგურები, საავადმყოფოები, აფთიაქები, ტელეფონი, ტელეგრაფი და აგრეთვე ყველა იმ დაწესებულება წარმოებებში, რომელთა შეჩერება არ შეიძლება მათი მუშაობის ხასიათის გამო.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისრის მოადგილე: **ვ. ბერბერაშვილი.**

საერთო საორგ. განყ. გამგე: **ვ. კვირიკაშვილი.**

შეთანხმებულია საქ. პროფ-კავშირთა საბჭოს მდივანი: **გ. ყურულაშვილი.**

ქრონიკა

— **ჯილდო მუყაითობისათვის.** ა.-კავკ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ამხ. თ. ღლონტმა ბრძანებით № 40 მადლობა გამოუცხადა ქალაქის ალმასკომის საფინანსო განყოფილების გამგეს ამხ. გავაშელს და სასოფლო-სამეურნეო და სარენტო გადასახადების სექციის თანამშრომელთ ფულადი ჯილდოს მიცემით 1924—25 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოპერაციის წარჩინებით ჩატარებისათვის.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლის გასაცხოველებლად.** თბ. ალმასკომმა ვეტ-სანიტარულ ქვე-განყოფილებას წინადადება მისცა გაადიდოს ბეითალთა შტატი, მაზრაში საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

— **მანგლისის მუშათა მოხმარებით კოოპერატივის** მუშაობის გასაძლიერებლად, თბ. ალმასკომმა სესხის სახით მისცა 10 000 მ.

— **საბინაო სექციის დახურვა.** ვინაიდან ბინებზე დიდი მოთხოვნილებაა და საბინაო სექციას კი არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება საბინაო ფონდის გათავების გამო, თბ. ალმასკომმა დაადგინა დახუროს საბინაო სექცია

— **ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის** საჭიროებისათვის თბ. ალმასკომმა გადასდო 500 მანეთი.

— **მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის** სატყეო განყოფილებამ ულარიბეს გლეხებს მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში გასცა უფასოდ 136 კუბ. საჟ. წნელი, ღირებული 1083 მ.

— **აგარაკზე გაგზავნილ მასწავლებლებს** ჯამაგირს აძლევს თვით დაწესებულება და არა დამზღვევი სალარო.

— **ბორჯომში** ამ ჟამად მკურნალობს საკურორტო-სანიტარულ მკურნალობით 26 დაზღვეული კავშირის წევრი.

— **სიკვდილიანობა.** თბ. დამზღვევ კასის ცნობით ივნისის განმავლობაში დაზღვეულთა შორის მომკვდარა 22, მათ შორის 5 ქალი.

— **ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა** წინადადება მისცა განაპირა კუთხეებში თავის ქვემდებარე დაწესებულებებს, დაუბრკოლებლად გაგზავნოს დასასვენებელ სახლში შვებულებაში მიმავალი მუშები.

— **უმუშევართა დამზღვევ** განყოფილებამ ივნისში 1516 უმუშევარს მისცა სოციალური დახმარება.

— **სავეტერინარო ფაკულტეტი.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის საბეითლო-სანიტარულმა განყოფილებამ გადასდო 15 ათასი მანეთი საბეითლო ფაკულტეტის დასაარსებლად თბ. სახ. უნივერსიტეტთან.

— **ქ. სასაკლაოზე** ივნისში დამზადდა 90,192 ფ. საქონლის ხორცი. მაისის თვესთან 1000 ფ. მეტი.

— **უმა გლეხებს.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ მიმდინარე საანგარიშო წელს პირველ ნახევარში გლეხებს მისცა უფასოდ 587 კუბიკური საჟენი ფიჩხი.

— **შრომის პირობების გამოკვლევა.** საქ. შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ გამოჰყო კომისია, რომელიც გაემგზავრება ფოთში ადგილობრივ შრომის პირობების გასოსწავლად.

— **ჭლექის დისპანსერი.** ქ. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ უკვე დაასრულა ჭლექის დისპანსერის მოწყობა. ახლო ხანში მოხდება მისი საზეიმო გახსნა.

— **დახმარება უმუშევრებს.** 27 ივლისს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ფულად დახმარებას იმ უმუშევრებს, რომელთაც აქვთ წიგნაკები № 2801-დან 3500-მდე.

— **თბ. ელსადგურების** მთავარ სამმართველოს დაუმუშავებია და გაუყიდია 214,398 კილოუატი საათი, რაც შარშანდელი წლის ივნისის თვეში გასულ ენერგიას 40 პროცენტით აღემატება.

მეაბრეშუმეობა

ივნისის ამინდები ძლიერ ხელსაყრელი იყო მეაბრეშუმეობისათვის. პარკის მოსავლის აკრეფა ყველგან დაიწყო. ყველაზე უკეთესი მოსავალი სენაკის მაზრაშია, საშუალოზე კარგი კი ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებში, ხოლო საშუალო—სიღნაღის, თელავის და ზუგდიდის მაზრებში. სენაკის მაზრაში ერთ ყუთზე (6 მისხალი) მოდის 3 ნახევარი ფუთი ნედლი პარკი, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრებში 2 ნახევარი ფუთი, თელავის მაზრაში კი 1 ფუთი და 10 გირ.

ხელოვნება

— **წითელი თეატრი დასავლეთ საქართველოში.** ამ დღეებში პროლეტკულტის წითელი თეატრის დასი წარმოდგენების გასამართავად მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში. წარმოდგენები გაიმართება ოზურგეთში, ნაგომარში, ლანჩხუთში, ბათომში, სამტრედიაში და ჭიათურაში. დასს მიაქვს მხოლოდ ორი პიესა: „ჯანყი გურიაში“ და ცხვრის წყარო“. დასი დაბრუნდება 10 აგვისტოს.

დღეს

— **საბჭოთა მუშაკების კლუბში** პირველად ქართული სიმფონიური მუსიკის საღამო, ზაქ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

— **განათლების მუშაკთა კლუბში.** ამხ. ლინგელის ლექცია „ესპერანტო“-ს შესახებ.

— **წითელარმიელთა და ფლოტის კლუბში** სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.

— **სუნდუკიანცის** დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო, დღეს კლუბ „მშვქდავში“ სომხური დრამატიულ წრეების თაოსნობით გაიმართება მისი ხსოვნის საღამო.

დღეს კინოებში

— აპოლო — „უბრალო გული“.

— არფასტო—„ოქროს მირაჟი“.

— ეთერი — „ცირკის მეფე“.

— პალას—„ტყავის ხელთათმანები“.

— ოაზის—„მხიარულ კომედიის საღამო“.

— სიმი—თავდასხმა ვირგინიის ფოსტაზე“.

ნარევი

„წმინდანის“ გადაყენება

1625 წელს პორტუგალიის მეფის მოადგილემ ბრაზილიაში „წმინდა“ ანტონ პადუანელის მფარველობის ქვეშ გამოაცხადა ერთ-ერთი პოლკი. „წმინდანი“ პოლკის უფროსათ დანიშნეს, მის ჯამაგირს კი რეგულიარულად იღებდენ ნათესავები. ახლა „წმინდა“ პოლკოვნიკს ცუდი დროება დაუდგა. ბრაზილიის მთავრობა დარწმუნდა, რომ „წმინდანმა“ დროა დაისვენოს და შტატების შემცირებაში მოახვედრა საბრალო. მაგრამ „წმინდანს“ მაინც ვერ გაუბედეს იმ წესით მოპყრობა, როგორც ითხოვენ სამსახურიდან უბრალო მუშას. „წმინდანის“ დათხოვნა მოხდა ასე: ბრაზილიის გაზეთებში გამოაქვეყნეს სამხედრო მინისტრის ბრძანება: „წმინდან ანტონ პადუანელს ან პოლკის უფროსს ებოძოს გენერლობა და დათხოვნილ იქნეს უვადო შვებულებაში“.

ამერიკული რეკლამა

ამერიკულ და შემდეგ ევროპიულ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა ცნობილ კინო-მსახიობებ პოლი ნეგრიზე და მერი პიკფორდზე თავდასხმის შესახებ მათი გატაცების მიზნით. ბოროტმოქმედთ თითქო განზრახვა ჰქონდათ გაეტაცებიათ ეს მსახიობები და შემდეგ მოეთხოვათ ფული. ამჟამად ირკვევა, რომ მთელი ეს ამბავი განგებ მოაწყვეს მსახიობებისათვის რეკლამის გაკეთების მიზნით.

„ლუზიტანიას“ ამოღება

უკვე რამდენიმე წელია ამერიკული ინჟინერები მუშაობენ გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ დაღუპული „ლუზიტანიას“ ამოსაღებათ. სხვა განძეულობათა გარდა „ლუზიტანია“-ზე არის 8 მილიონი დოლარის ოქრო. ამიტომ სხვა და სხვა ქვეყნების ინჟინერები აუარებელ გეგმებს უგზავნიან შეერთებული შტატების მთავრობას დაღუპული გემის ამოღების შესახებ. ყველაზე საინტერესოა შვედ ინჟინერის ლინდევალის პროექტი. ლინდევალი წინადადებას იძლევა გემის მოსაძებნათ (რადგან გემი უკვე ჩასილულია) გამოყენებული იქნას უდიდესი ელექტრო-მაგნიტები.

ეინშტეინის თეორიის „პოპულიარობა“

ლუვენის უნივერსიტეტმა (ბელგია) ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოუშვა იმ წიგნების კატალოგი, რომლებიც მიძღვნილი არიან ეინშტეინის თეორიისადმი. ირკვევა, რომ სულ გამოსულა 5000 სამეცნიერო შრომა და გამოკვლევა ამ საკითხზე პირველ რიგში დგას გერმანია, სადაც გამოვიდა 1435 გამოცემა, შემდეგ ინგლისი—1.150 გამოცემა. „არც ერთ სხვა სადმო თეორიასო,—ნათქვამია ამ კატალოგში,—არ გამოუწვევია ასეთი გაცხოველებული მსჯელობა, როგორც ეინშტეინის თეორიას. იქვეა მოყვანილია ცნობები თუ რამდენი მეცნიერი მუშაობს კიდევ ეინშტეინის თეორიაზე. პირველი ადგილი აქაც გერმანიას უჭირავს, სადაც 350 მეცნიერი მუშაობს კიდევ ეინშტეინის თეორიაზე. ინგლისში—185 მეცნიერი საფრანგეთში—150. ამერიკაში—128.

უძველესი სამარხები

ინდოჩინეთში (აზია) ბაკ-სონის მთაგრეხილის ფერდოებზე, იტალიელმა პროფესორმა მინსეუმ აღმოაჩინა უძველესი სამარხები. ამ სამარხების გამოკვლევის დროს შავი რასის ადამიანის ძვლებთან ერთად იპოვეს თეთრკანიანების ძვლები. იპოვეს აგრეთვე ძალიან კარგად და ცუდათ გაკეთებული სხვა და სხვა იარაღები. მანსუის აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ წინათ ინდო-ჩინეთი დასახლებული იყო ზანგების მოდგმის ხალხით. შემდეგ ეს ადგილები დაიპყრეს თეთრკანიანებმა. თეთრკანიანებიდა ზანგების შერევიდან წარმოიშვენ ახლანდელი ყვითელკანიანები, რომლებიც შემდეგ გავრცელდენ ფილიპინის კუნძულებზე, მალაის ნახევარკუნძულზე და ჩინეთში.

მუშათა ცხოვრება

მიიღეთ გადამჭრელი ზომები ქურდების წინააღმდეგ

(სისხ. სამართ. მილიციის საყურადღებოდ)

ამ უკანასკნელ წლებში მეტადრე თბილისში ძალიან გახშირდა ქურდობა. ისე დღე არ გავა, რომ მრავალი საჩივრები არ შედიოდეს მილიციაში გაქურდვის და სხვა და სხვა მრავალი აფიორების შესახებ. მაგრამ საუბედუროდ ამ გარემოებას არც ისე სასტიკად ეპყრობიან ზემოაღნიშნული ორგანოები. ქურდები იმდენად გათავხედდენ, რომ სრულებით არ ეშინიათ დაჭერის. ყველას მობეზრებული აქვს თავი ქურდ-ბაცაცებისაგან; დაიჭერენ, ჩააჯინენ ცოტა ხანს და ისევ გამოუშვებენ.

ქურდობას ჩვენ ვერ მოვსპობთ, თუ არ იქნება მიღებული უფრო სასტიკი ზომები.

ტაბაკინელი.

გაგვიხსენით საბჭოთა საპარიკმახერო

ქ. ჭიათურაში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 4000-ს საჭიროა გახსნათ საბჭოთა საპარიკმახერო და სამკერვალო, რომ მუშა-მოსამსახურენი კერძო მოხელეთ არ ჩაუვარდენ კლანჭებში.

ბესოშვილი.

დავიტანჯეთ სიბინძურეში

(მილიციის საყურადღებოდ)

ტროცკის ქ. № 1 სახლი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, რის გამოც საშუალება გვესპობა ვისარგებლოთ სუფთა ჰაერით. მიაქციეთ ყურადღება.

მუშა ფ. ჯორბენაძე.

მუშებს კარგად უნდა მოეპყრათ

ტრამვაის მუშებს 30—40 კ. პრემია მოუსპეს და მის მაგიერ 17 კაპ. მოუმატეს. ადგილკომის წარმომადგენელნი, იმის მაგიერ რომ მუშების ინტერესები დაიცვან, მუშებს ლანძღავენ და პასუხად მკვახე სიტყვებით უმასპინძლდებოდენ.

საჭიროა ეს საქმე მოაგვაროთ.

მუშა ქიტიაშვილი.

გამოგზავნილი წერილებიდან.

ასე შრომის ნაყოფიერება დაეცემა.

(თბ. რკ. გზ. საუბნო კომიტეტის საყურადღებოდ).

თბ. საყუდში ბევრი მემანქანე არამც თუ კვალიფიკაციაში გატარებული, არამედ უმოწმობოდაც მუშაობს. ეს იმ დროს, როდესაც მოწმობიანი მემანქანე უსაქმოდ დაიარება. კანტორის მოხელეთა თანრიგების გადაჯგუფებაშიც დიდ უსამართლობას ჰქონდა ადგილი, რასაც საჭირო ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

მუშკორი ლანირელი.

ალაგმეთ მუშების მჩაგვრელი.

თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის გამგეს მირიან სეფერთელაძეს საქმე კარგად ვერ მიყავს. ფულებს ტყუილ-უბრალოდ ფლანგავს და რაც საჭიროა კი არ აკეთებს. მუშებზედაც დარჩენილი აქვს სამ-სამი თვის ჯამაგირი და აქამდის აწვალებს.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ალ. გურაშვილი.

ჩვენ უნდა მოგვექცეს ყურადღება.

დემობილიზაციაში მოყოლილ წითელარმიელებს პირველ რიგში უნდა მიეცეთ სამსახური, მაგრამ ჯარში ოთხი წელ-ნახევარი ნამსახური ვარ და ექვს თვეში სამსახური ვერ მელირსა. გთხოვთ ყურადღება მომაქციოთ.

ძეგველი

მუშათა ქრონიკა.

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან).

— **ბინის შეკეთება.** ა. კ. რკ. გზ. სამმართველომ წინადადება მისცა უბნის ლიანდაგის უფროსს, რათა შეკეთებული იქნეს რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეების ბინები ს. ევლახში.

— **ფურნის შეკეთება.** ა. კ. რკ. გზ. ჯანმრ. სამმართველოს სანიტარულმა განყოფილებამ წინადადება მისცა „ზაკტპო“-ს გამგეობას, რათა შეკეთებული იქნეს ს. შორაპნის „ზაკტეპოს“ ფურნე.

— **ლენინგრადში გაგზავნა.** ა. კ. რკ. გზ. სანიტარულ კომისიამ დაადგინა ლენინგრადში გაგზავნოს ერთი ინსტრუქტორი სხვადასხვა ბაცილებთან და ჭიებთან საბრძოლველი მეთოდების შესასწავლად.

— **კლუბის შესაკეთებლათ.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა მუშათა კლუბის და ქოხ-სამკითხველოების შესაკეთებლად.

— **საშეფო საზოგადოება.** თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომმა დაადგინა დაარსოს საშეფო საზოგადოება სოფ. პატარძეულზე.

— **კედლგაზეთი „ახალგაზრდა დარაჯი“.** თბილისის საქონლის სადგურის ახალ. ლენ. კომ. კავშირის უჯრედმა გამოსცა კედლის გაზეთი „ახალგაზრდა დარაჯი“-ს მე 9 ნომერი.

— **„ახალი გზა“.** ა. კ. რკ. გზ. სამმართველოს ახ. ლენ. კომ. უჯრედმა გამოსცა კედლის გაზეთი „ახალი გზის“ მორიგი ნომერი.

თბილისის პროლეტარულ მწერალთა კრება

ორშაბათს, 20 ივლისს, ხელოვნების სასახლეში შესდგა თბილისის პროლეტარულ მწერლების მრავალრიცხოვანი კრება. თითქმის პირველად ასეთს კრებაზე თავი მოიყარეს თბილისში არსებულ პროლეტარულ ლიტერატურის ყველა დაჯგუფებებმა (პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, პროლემაფი და სხ.), აგრეთვე რუსულმა ჯგუფმა „Красные всходы“ და სომხურმა ჯგუფმა პროლეტ-მწერლებისა.

კრების უმთავრეს მიზანს შეადგენდა თბილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსება.

ამ მიზნით მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვარდინი-მგელაძე, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში გაურკვია დამსწრეთ „პროლეტარული ლიტერატურის მორიგი ამოცანები“.

მომხსენებელი აღნიშნავდა ახალ ფაზას პროლეტარული ლიტერატურის განვითარებაში, როცა ყველა საამისო სასიცოცხლო ძალები იწყებენ გაერთიანებულ მხურვალე მუშაობას ლიტერატურულ ფრონტზე ჰეგემონიის მოსაპოებლათ. ამიტომ აუცილებელია,—დაასკვნიდა მომხსენებელი,—ყველა პროლეტ-ლიტერატორთა შეკავშირება ერთ მთლიან ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. დღეს, როდესაც პარტია იძლევა პირდაპირ დირექტივებს პროლეტარული ლიტერატურისათვის ხელის შეწყობის შესახებ, ყველა პარტიულ ძალებისა და მით უფრო თვით ჩვენგან, პროლეტარულ მწერალთაგან, აუცილებელია და სავალდებულო პარტიის ამ მოწოდების შესრულება ჩვენს, თბილისის პირობებშიც.

ამხ. ვარდინის მოხსენების გამო ერთხმად იქნა გამოტანილი რეზოლიუცია—დღეიდან არსებულათ აღიარებს „თბილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას“, რომელიც აერთიანებს ყველა დღემდის არსებულ ლიტერატურულ ორგანიზაციებს, ჯგუფებს, თუ ერთეულებს. თბილისის ასოციაცია იწყებს მუშაობას სრულიად საკავშირო პროლეტარულ მწერალთა კონფერენციის დადგენილებათა თანახმად, შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი, იმავე სრულიად საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში და მომავალი მუშაობის სახელმძღვანელო ხაზად ისახავს რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებას სამხატვრო პოლიტიკის შესახებ.

საორგანიზაციო საკითხებზე მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. ს. ეულმა და პ. ქიქოძემ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლის თანახმად ყველა ჯგუფები და ერთეულები პროლეტარული ლიტერატურის ძალებისა, რომლებიც ღებულობენ სრულიად საკავშირო პროლეტ-მწერალთა ასოციაციის (Вапп) პოზიციას და სცნობენ თავისთვის სავალდებულო სახელმძღვანელოდ პარტიის ცეკას ხაზს,—ერთდებიან თბილისის ასოციაციაში.

ასოციაციას ექნება მცირე ეროვნებათა სექციები, საკუთარი ცენტრალური გამგეობა, რაიონული ორგანიზაციები ქალაქში (მსგავსად პროლემაფის ლიტერატურულ უჯრედებისა).

ასოციაცია ირჩევს გამგეობას, რომელსაც ევალება სრულიად საქართველოს პროლეტ-მწერალთა ყრილობის წინასწარი მომზადება, ზრუნვა ამიერ-კავკასიის ყრილობისათვის და სხვა მორიგი საქმეები.

კრების დასასრულ მოხდა არჩევნები გამგეობისა, მისი პრეზიდიუმისა და პასუხისმგებელ მდივანთა.

გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ნ. ზომლეთელი, ს. ეული, პ. ქიქოძე, ბუხნიკაშვილი, აკ. აკოპიანი, კ. კალაძე, შ. დუდუჩავა, ა. მაშაშვილი, სიტკოვსკი, ბუაჩიძე, ესაკია, პეტრიაკი და ხეჩუაშვილი; ხოლო მათ კანდიდატებათ: ლუარსამიძე, რონდელი, დარპინიანი, კრეიტანი და შინატეხელი.

გამგეობის პრეზიდიუმში შევიდენ:

ნ. ზომლეთელი, პ. ქიქოძე, სიტკოვსკი, აკ. აკოპიანი, კ. კალაძე და ბუხნიკაშვილი.

ასოციაციის პასუხისმგებელ მდივნებათ არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ნ. ზომლეთელი და პ. ქიქოძე.

ახლად არჩეული გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას.

დამსწრე.

სოფლად

ვანის თემი (ქუთაისის მაზრა)

თავი და თავი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, არის ის, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მუშაობის მთელი თავისი სიმძიმე სოფლად გადაიტანა, გლეხობის კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობა ჩქარი ტემპით მიიწევს წინ. ერთი ასეთ კუთხეთაგანია ვანის თემი.

ამ ორი თუ სამი წლის წინად იქ მოდუნებული იყო ყოველგვარი ხასიათის მუშაობა, მაგრამ დღეს სულ სხვა სურათს ვხედავთ აქ.

ვანის თემში კულტურული მუშაობა უკვე გაჩაღებულია. ეკონომიური ცხოვრებაც თანდათანობით სდგება ნორმალურ კალაპოტში; განადგურების გზაზე დამდგარი მეაბრეშუმეობა და მებამბეობა უკვე აღდგენილია და მას დღეს დიდი ყურადღება ექცევა.

ამ ერთი წლის წინად კოოპერატივისათვის ვანის ბაზრის შუა ადგილას აგებულ იქნა მშვენიერი შენობა, რომელშიაც მოთავსებულია აგრეთვე სამკითხველოც, სახალხო სახლის შენობის აგება უკვე დაწყებულია, კედლები ნაწილობრივ ამოშენებულია, მაგრამ მისი დამთავრება ჯერ-ჯერობით უსახსრობის გამო შეფერხებულია. სხვათა შორის აქ აღსანიშნავია ისიც, რომ წელს მთელ ვანის თემში აბრეშუმის საუკეთესო მოსავალი იყო და დიდძალი აბრეშუმის პარკი დაგროვდა. პარკზე დაწესებულ ფასითაც არ არის ადგილობრივი მეაბრეშუმე გლეხობა უკმაყოფილო.

რაც შეეხება მებამბეობას, იგი სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგს წარმოადგენდა ვანის თემში, მაგრამ მეურნეობის ეს დარგი მეტად ჩამორჩა. ამჟამად მებამბეობას ხელმძღვანელობს ადგილობრივი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია, რომლის მიერ მიღებულია ზომები ამ დარგის თავის დონეზე დასაყენებლად.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აძლევს აგრეთვე თავის წევრ-გლეხებს უპროცენტო სესხს სასოფლო მეურნეობის აღსადგენად, იგივე აწვდის მცხოვრებლებს შეღავათიან ფასებში საგლეხო მანუფაქტურას და სხვა.

მაგრამ არის ზოგიერთი ნაკლულევანებაც, რაიც ბევრად უშლის ხელს ამ თემის განვითარების საქმეს. ერთი ასეთ ნაკლულევანებათაგანია უგზოობა. ვანის თემს არა აქვს არც ერთი ხეირიანი გზა, რომლითაც იგი უნდა იყოს დაკავშირებული სამაზრო ცენტრთან. მდინარე რიონზე ხიდის უქონლობა კიდევ უფრო აფერხებს ქალაქთან დაკავშირების საქმეს, რაც აუცილებლად დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ამ თემის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრების განვითარებაზე.

საჭიროა აგრეთვე ადგილობრივი გლეხკომის მუშაობის გაცხოველება. გლეხკომს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და ამიტომ მას მეტი მუშაობა მართებს.

ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ნაწარმოების შესყიდვის საქმეს და არ ჩაუგდოს იგი ხელში ჩარჩ ვაჭრებს.

ვანის იარმუკა თავისი ძველი ადგილიდან გადატანილია სხვა ადგილას, რომელიც მეტად შეუფერებელია იარმუკისათვის. საჭიროა გამონახულ იქნეს უფრო შესაფერი ადგილი და იქ იქნეს გადატანილი იარმუკა.

რაც შეეხება ნათესების მდგომარეობას, ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ წელს ვანის თემში საშუალოზე უფრო კარგი მოსავალი იქნება, ვინაიდან ხელისშემწყობი ამინდების გამო ჰირნახულს კარგი პირი უჩანს; მხოლოდ გასული წლის მოუსავლიანობის გამო მცხოვრებლები კრიზისს განიცდიან.

ი. ჯანელიძე.

წერილებიდან

სოფ. წალენჯიხა (ზუგდ. მაზრა) 1917 წ. აქ დაარსებული იქნა კოოპერატივი. საქართველოს გასაბჭოებამდე მისი მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. კოოპერატივში სრულიად არ მოიპოვებოდა პირველი მოთხოვნილების საგნები. 1921 წლიდან კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა; კოოპერატივი გაივსო აუარებელი საქონლით. მართალია, კოოპერატივის მუშაობაში ადგილი ჰქონდა შეცდომებს და მთელ რიგ ბოროტმოქმედებებსაც, მაგრამ დღეს ეს მდგომარეობა ძირფესვიანათ აღმოფხვრილია. ამხ. ა. გვაჯავას მეთაურობით საქმე წინ მიიწევს. ადგილობრივი გლეხკაცობაც დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ მას მიეცა შესაძლებლობა ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინოს ის საქონელი, რომელიც მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ლესარელი.

—

ქ. ზესტაფონი. საქართველოს თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში არის დასასვენებელი ბაღები, ზესტაფონს კი ასეთი ბაღი არ გააჩნია. მართალია, აქ ერთადერთ დასასვენებელ ადგილად იყო მიჩნეული ბაღი, რომელიც მდებარეობდა ქალაქს გარედ, მაგრამ დიდ წყალდიდობამ ხიდის წაღებით ჩამოაშორა მას საზოგადოება. ამის გამო ამა თუ იმ დაწესებულებაში მუშაობისაგან მოქანცულ მუშას და გლეხს ძალაუნებურად უხდება თავისი დასასვენებელი დრო გაატაროს მტვერიან ქუჩებში და ყოველივე ეს იმ დროს, როდესაც ზესტაფონს მშვენიერი საბაღე ადგილები აქვს. საჭიროა ადგილობრივმა აღმასკომმა ამას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

დ. გ—ი.

—

სოფ. აბაშა (გამოჩინებულის თემი). ჩვენი სოფლის ღარიბი გლეხკაცობის მეტ ნაწილს გამოელია სიმინდი და ამ ნიადაგზე დიდი გაჭირვებაა შექმნილი, რადგან ახალ მოსავლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. დღეს კოოპერატივშიაც არ იშოვება სიმინდი, კერძოდ კი სიმინდი ფასობს სამ მანეთამდე ფუთი და ისიც ძნელი საშოვარია. საჭიროა ეხლავე საჩქარო დახმარება გაეწიოს ღარიბ გლეხობას, კოოპერატივებმა და სხვა ორგანიზაციებმა უნდა მოიმარაგონ სიმინდი, რადგან, უკიდურეს შემთხვევაში ბევრი ღარიბი გლეხობის ოჯახები დამშივდებიან.

ქ. მუ—რი.

სოფ. დირბი (გორის მაზრა). ამას წინად აქ მოხდა ადგილობრივი გლეხკომის მუშაობის რევიზია თემ-აღმასკომის თავმჯდომარის თანდასწრებით. რევიზიამ გამოარკვია, რომ გლეხკომს საერთოდ უწარმოებია დიდი მუშაობა და მიღწევებიც საგრძნობი ყოფილა. ხოლო, რაც შეეხება გლეხკომის წევრების მუშაობას ცალ-ცალკე, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთნი თავიანთი მუშაობას ვერ ასრულებდენ პირნათლად და გულგრილად ეკიდებოდენ ამ საზოგადოებრივ საქმეს. სწორედ ამ მიზნით კიდეც მოხდა გლეხკომის შემადგენლობის გადახალისება.

სერნარი.

—

ქ. ზუგდიდი. აქ არსებობს სამკითხველო, რომელიც სამწუხაროდ ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. სამკითხველოში არ მოიპოვება სადღეისო წიგნები. „საენციკლოპედიო სიტყვარის" რამდენიმე ტომი და ძველის-ძველი, სრულიად გამოუსადეგარი წიგნები—აი ზუგდიდის სამკითხველოს მთელი სიმდიდრე. რომელიც, ცხადია, სრულიად ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებას. საჭიროა სამაზრო პოლიტ-განმანათლებელმა განყოფილებამ გადადგას ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯები.

მ. ჩახაია.

—

მუხადისჯვრის თემი (დუშეთის მაზრა). კულტურული განვითარების მხრივ ეს თემი საგრძნობლად ჩამორჩენილია. გარდა ამისა აქ საშინელი უსუფთაობაც სუფევს, რაც მეტად დიდ საფრთხეს უქადის ადგილობრივ მოსახლეობას. კოოპერატივის საქმეც უნუგეშო მდგომარეობაშია. ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც კოოპერატივი ხან იკეტება და ხან იღება, რის გამო მას ვერ ძალუძს დააკმაყოფილოს ფართო მასების მოთხოვნილება. ამ ჟამად კოოპერატივს ხელმძღვანელობს გლეხკომი, რაც უეჭველად არანორმალური მოვლენაა. ყოველ მიზეზს გარეშე საჭიროა, რომ ადგილობრივმა აღმასკომმა გლეხკომის დახმარებით ამ ხანმოკლე დროის განმავლობაში მოიწვიოს საზოგადო კრება ახალი გამგეობის ამორჩევის მიზნით, რომელიც სათანადოთ გაუძღვება კოოპერატივის მუშაობას.

ს. ს—შვილი.

სოფლის ქრონიკა

— **ბოდბის** პედაგოგიურ ტეხნიკუმთან 15 ივლისს გაიხსნა მასწავლებელთა 6 თვიანი გადასამზადებელი კურსები.

— **ტყის მოწყობა.** სოფ. ახმეტის (სიღ. მაზრა) ტყის გამოკვლევა და მოწყობა დამთავრდება ამ დღეებში. ტყის მოწყობაზე მუშაობდენ სახ. უნივერსიტეტის სტუდენტები.

— **სკოლების შეკეთება.** თელავის აღმასკომმა გადასდო თელავის სკოლების შესაკეთებლად 2000 მან.

— **მგლები.** სოფ. ტოლას (ქვემო რაჭა) საზაფხულო საძოვრებზე გაჩნდენ მგლები, რომლებმაც ნახირიდან მოიტაცეს რამდენიმე სული საქონელი.

სოფ. ვანის (იმერეთშია) მცხოვრებთა საერთო კრებამ დაადგინა ააგონ ახალი შენობები აღმასკომის და სახალხო სახლისათვის.

— **გორის** მაზრაში ყველაზე უფრო სუსტ გლეხკომათ ითვლება კასპის გლეხკომი, ამიტომ სამგლეხკომმა დაადგინა გაგზავნოს იქ ინსტრუქტორი მუშაობის გასაცხოველებლად.

— **სოფ. მუხურის** (შორაპნის მაზრა) თემის გლეხკომმა მიმართა საქ. მიწათმოქ. სახ. კომისარიატს, რათა გლეხებს, შეღავათიან ფასებში მიეცეს სახელმწიფო ტყეებიდან საშენი მასალა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ არა შრომის ხელფასი

კითხვა

სამსახურის დაწყების ერთ-ერთ დაწესებულებაში ადმინისტრაცია, რომელმაც დამიშვა სამსახურში დამპირდა, რომ 2—3 დღის განმავლობაში ჩამრიცხავდა შტატში. ვმუშაობდი მოანგარიშის თანამდებობაზე და იმავე დროს ვასრულებდი სხვადასხვა საქმეს.

26 დღის სამსახურის შემდეგ ადმინისტრაციამ როგორც ალაგზედ, ისე ხელფასის მოცემაზე უარი მითხრა.

გთხოვთ განმიმარტოთ მერგება თუ არა ხელფასი 26 დღის განმავლობაში მუშაობისათვის და თუ მერგება, ვის მივმართო, რომ ეს ხელფასი მომეცეს.

კავშირის წევრი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 38—39-ისა თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ შრომის ხელფასი გამოცდის მთელი ხნის განმავლობაში იმ სატარ. თანრიგის მიხედვით, რომელსაც ეკუთვნის ის სამუშაო, რომელზედაც თქვენ იყავით დაშვებული გამოცდის პირველ დღიდანვე.

კანონიერი არის ეს თუ არა?

კითხვა

მე ვმუშაობდი „ჩემოს" საზოგადოებაში ქ. ფოთში 1923 წ. 1 მაისიდან 1925 წლის 28 იანვრამდის სინჯის განყოფილებაში. ამ ხნის განმავლობაში ვითვლებოდი კავშირის წევრად (წიგნაკი № 608), აგრეთვე ვიყავი დაზღვეული (წიგნაკი № 107). ამა წლის 28 იანვარს ვიქენი მოხსნილი სამუშაოდან გამწმენდი კომისიის მიერ და ორი კვირის შემდეგ კი საქართველოს საკონტროლო კომისიამ და ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტმა მე სავსებით გამამართლეს და ისევე აღმადგინეს კავშირის წევრად, რაიც მაშინვე ეცნობა კანტორასაც და კავშირსაც სათანადო ზომების მისაღებათ. თავიდანვე სამსახურის დაწყებისა ვითვლებოდი შტატში და ჩემი გამართლების შემდეგ განვლო ორმა თვემ და მე ვერ ვიქენი დაშვებული თავის თანამდებობაზე და ბოლოს კი დამიშვეს დღიურ სამუშაოზე იმავე დარგში და ჩემი ამხანაგი კი, რომელიც იყო დათხოვნილი, კომისიის მიერ გამართლებისთანავე იქნა აღდგენილი თავის ადგილზე.

დათხოვნის დროს არ მამლია სალიკვიდაციო; ვარ უკიდურესი ღარიბი გლეხის შვილი და არავითარი ქონება მე არ გამაჩნია.

დღეს, როგორც დღიური მუშა, მოხსნილი ვარ სამუშაოდან მუშაობის შემცირების გამო და განვიცდი უკიდურეს მდგომარეობას და სიმშილს.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მეკუთვნის თუ არა გაცდენილი თვეების ჯამაგირი და ჩემს ყოფილ თანამდებობაზე დაშვება შტატში ჩარიცხვით.

მუშა იესე გაბეჩავა.

პასუხი

ვინაიდან თქვენ გაგამართლათ სათანადო ორგანოებმა სამსახურიდან მოხსნის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში, ამიტომ თქვენ გაქვთ უფლება, თუ დაპატიმრებული არ იყავით, მოითხოვოთ შტატის სამსახურზე დაბრუნება. ყოველ შემთხვევაში თქვენ უნდა მოგეცეთ შრომის ხელფასი გაცდენილი ხნისა არა ნაკლებ ორი თვის განმავლობაში—სამსახურიდან მოხსნის დღიდან.

(იხ. ა | კ. შრომის სახკ. 1925 წ. 16 იანვრიდან—შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47—§ „ე"-სი და მუხ. 68-სი განმარტება).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ფრ. სასწრაფო

ცირკულიარულად.

ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებს, სამფინგანებს და თემ-აღმასკომებს.

სას.-სამ. გადასახადის კამპანიაში ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და რთულ მუშაობას შეადგენს დასაბეგრი ქონების აღწერა; თავისთავად ცხადია, რომ თუ ეს ქონება ჩვენი გლეხობისა—არ იქნა სიმართლით აღნუსხვილი და თვითეულ გლეხზე ჩაიწერა სასოფლო სიაში მეტი ან ნაკლები სახნავი მიწა, ვენახი, პირუტყვი და სხვა, შემდეგი მუშაობაც არ იქნება სწორი.

მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნ. გადასახადისათვის პირველი საფეხური მუშაობისა უკვე დამთავრებულია მთელ საქართველოში და ეხლა გადავედით არა ნაკლებ მნიშვნელობის მუშაობაზე. როგორც ვიცით, საგადასახადო ერთეულად აღებულია ერთი დესეტინა სახნავი მიწა და ამისათვის ყველა დანარჩენი ქონება ე. ი. ვენახი, ბოსტანი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი გადაყვანილ უნდა იქნეს სახნავ მიწაზე თანახმად იმ ნორმებისა, რაც დაწესებულია თავის დროზე სათანადო ორგანოების მიერ.

ეს ნორმები და მათთან დაკავშირებული მასალები უკვე გადაეგზავნა ადგილებს და მათდამიხედვით უნდა იქნეს გადაყვანილი ყოველი გლეხის ქონება, რაც შეტანილია სასოფლო სიაში, სახნავ მიწაზე, და შეჯამებული ბოლოს ერთ ადგილს, როგორც საერთო ჯამი დასაბეგრი ერთეულებისა; ამ ჯამის გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის შეღავათები, რაც შეიჩება იმავე მეურნეს და საერთო ჯამში არ შეიტანება; საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის ქონება, რაც დასაბეგრია და რაზედაც გლეხმა უნდა გადაიხადოს გადასახადი.

მას შემდეგ, რაც გამოანგარიშებული იქნება, რამდენი საგადასახადო ერთეული ირიცხება ამა თუ იმ გლეხზე, უკვე ადვილია თვით გადასახადის რაოდენობის გამოანგარიშებაც უბრალო გამრავლებით დასაბეგრი ერთეულთა რაოდენობისა საგადასახადო განაკვეთებზე.

ყველასათვის ადვილი გასაგებია, რომ თუ გლეხის ქონება, აღნიშნული სასოფლო სიაში, გადატანილი იქნა სახნავ მიწაზე სიმართლით და იმ ნორმების მიხედვით, რაც საამისოდ მიღებულია კანონიერი შეღავათების გამოკლებით ჩვენ ადვილათ შევძლებთ ავიცილოთ მრავალგვარი გართულება და უკმაყოფილება თვით გადასახადის აკრეფის დროსაც.

აღნიშნული მუშაობის დამთავრების შემდეგ გამოანკარიშებული უნდა იქნეს აგრეთვე, რომელი განაკვეთის მიხედვით დაიბეგრა ესა თუ ის მეურნე და ამრიგად დამუშავებული ცნობებით მიიღება საერთო სურათი მაზრის მასშტაბით —რამდენი მეურნე დაიბეგრება პირველი, მეორე და მესამე საგადასახადო განაკვეთების მიხედვით,—ეს მასალები აუცილებელი საჭიროა, რათა ცენტრს მიეცეს საშუალება სისწორით დააწესოს მაზრობლივ სადასაბეგრო თანრიგი.

ამისათვის ადგილებზე მომუშავე ამხანაგებთ მართებთ დიდი სიფრთხილით და სრული შეგნებით იმ მნიშვნელობისა, რომელიც აქვს სას. სამ. გადასახადის კამპანიის ნორმალურად ჩატარებისათვის, მიღებული ობიექტიური მასალების გადამუშავებას დაუთმონ ამ უკანასკნელს მთელი თავისი ენერგია, ცოდნა და მუყაითობა იმ იმედით, რომ თუ ეს მუშაობაც ჩავატარეთ შეცდომების დაუშვებლად, ა | წ. სას. სამ. გადასახად. კამპანიის ჩატარებაც უმტკივნეულოდ სავსებით უზრუნველყოფილია.

ა | კ. ფინსახ. საქართველოში რწმუნებული—**ღლონტი.**

გადასახადთა განყოფილების მმართველი—**ჯაფარიძე.**

სას. სამ. გადასახადის ქვეგანყ. გამგე—**ჩიქოვანი.**

15 ივლისი

თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ხუთშაბათს, 23 ივლისს, საღამოს 7 საათზე ცენტ. პარტკლუბში მოწვეულია **თბილისის მილიციის უჯრედების ყველა ბიუროთა თათბირი.** დასწრება სავალდებულოა ბიუროთა ყველა წევრებისათვის, რაიკომების საორგ. განყ. გამგეთათვის და რაიონის მილიციის უფროსებისათვის.

თ. კ. მდივანი **ნ. ხვანიძე.**

რემედასის არსრაისაბჭო იუწყება: ხუთშაბათს, 23 ივლისს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია რემედ-სის რაისაბჭო,

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისა: ჯოხაძე, შმელევი, კატალევსკაია, კლდიაშვილი, გაიდაი, მარკოზოვი.

რაისაბჭო.

ა. ლ. კ. კ. თ. კ. იუწყება, რომ დღეს, 22 ივლისს, შესდგება ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა. ყველა წევრებისა და ქვემოხსენებულ ამხანაგების დასწრება აუცილებელია:

1. ცრაგანოვა, 2. მარღიშვილი, 3. გოგიჩაიშვილი, 4. არზულაშვილი, 5. ემილ ზაგულიანცი, 6. აირაპეტოვი, 7. კაჭარავა, 8. კურგელია, 9. გაევსკაია, 10. ლიუსენიან, 11. მუჩაიანი, 12. თოთიბაძე, 13. მამითაშვილი, 14. ბეზრუჩენკო, 15. საიადოვა, 16 ბერიძე, 17. ადაშვილი, 18. ნიკოლაევა, 19. ბაზალაშვილი, 20 ბირბაქაძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშფაკის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ 22 ივლისს, ოთხშაბათს ქართულ მუშფაკის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი № 4—2) შესდგება (სრულ 6 საათზე) ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების ბიუროს გაერთიანებული მორიგი სხდომა. ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების ბიუროს ყველა წევრები და კანდიდატები, რომლებიც არიან ქალაქ თბილისში დარჩენილი და მიმაგრებული ზემო ხსენებულ უჯრედზე, პარტდისციპლინის წესით უნდა გამოცხადდენ დანიშნულ ადგილზე დაუგვიანებლად.

ს. კ. პ. ცეკას საორგ.-გან. განყ. სთხოვს ამხ. ლეონტი მიხეილის ძე ცეცხლაძეს და ამხ. ვანო ჩხაიძეს გამოცხადდენ ცეკას საორგ.-განშ. განყოფილებაში.

განცხადებები

საყვარელი დის

ვასასის

გარდაცვალების ექვსი თვის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ხრიალეთის მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე (მიცვალებულის სასაფლაოზე) 23 ივლისს დღით, ოთხშაბათს, 12 საათზე, რასაც აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს ქსენია და ალექსანდრე შმიტები. 2049 1—1

გულმოკლული ელისაბედ კვაშელის ასული ჩხაიძისა და გრიგოლ [illegible] ძე ქირია პატარა შვილებით ბაჟუ და გერონტით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ექვსი თვის თავზე გარდაცვალების დღიდან 23 ივლისს დღით, ოთხშაბათს 12 საათზე გადახდილ იქნება პარაკლისი მთავარ ანგელოზის ეკლესიის სოფელ ხრიალეთის (გურია) სასაფლაოზე, პირველის დაუვიწყარი ქალიშვილის, მეორეს საყვარელ მეუღლის, ხოლო მესამეთა ძვირფასი დედის

ვასასის

2049 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: და მარიამ მიხეილის ასული სურგულაძე-სიხარულიძისა, სიძე—ილია ლუკასძე სიხარულიძე, დისწულნი: ვახტანგ და რეზო, ბიძა—სამსონ ამბაკოსძე, ბიცოლა ქეთევან დავითის ასული და ბიძაშვილები: ნინა, მიშიკო და დათუშკა ჩხარტიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ შაბათს 18 ივლისს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აგარაკ აბასთუმანში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელენე მიხეილის ასული სურგულაძე-ძიმოძისა

რომელიც დასაფლავებულ იქნა იქვე 2048 1—1

გაუნელებელ მწუხარებაში მყოფნი: ქმარი ლავრენტი კანდელაკი, შვილები: ვალიკო, კოლა, გიორგი, ნეო (პასიკო), თამარ და მიხეილ, რძალი კატუშა ვაჩნაძე, სიძე აკაკი სირაძე, შვილის შვილები: ნინო, ლილი, ლეილა სირაძენი, ოთარი კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ დაუვიწყარ

ბუღდამ კანდელაკის

უდროვოთ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება სოფ. ნიკორწმინდაში (რაჭა) ნ. 1519 3—1

ოთხშაბათს, 22 ამა ივლისს საღამოს 6 საათზე, აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში (თავისუფლების მოედანი)

დანიშნულია

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგად. უჯრედის ბიუროების კონფერენცია

მეოთხე რაიონის. დასწრება ყველა ბიუროს და საინიციატივო კომისიის წევრებისათვის სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. „წერკუმს"-ის ცენტრალური გამგეობის ინფორმაციული მოხსენება.
2. მოხსენება დროებითი რაიონულ საბჭოსი ჩატარებულ მუშაობის შესახებ.
3. საბჭოს არჩევა.
4. სარევიზიო კომისიის არჩევა.
5. მიმდინარე საკითხები.

სარაიონო საბჭოს თავმჯდომარე **გოგოლაძე.**

ნ. 1520 1—1

თბილისის განათლების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში მისაღები თხოვნები ქ. თბილისისა და თბილისის მაზრის მკხოვრებთა უნდა შემოტანილ იქნეს განათ. განყოფილებაში. თხოვნები განიხილება საატესტაციო კომისიის მიერ და წარეგზავნება უმაღლეს სასწავლებელთა მიმღებ კომისიაში. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს საჭირო საბუთები (დედანი და ორი სათანადოთ შემოწმებული ასლი) წლოვანების, განათლების, ნივთიერი მდგომარეობისა და ორი ფოტოგრაფიული სურათი. თხოვნების მიღება გაგრძელდება ივლისის 20-დან აგვისტოს ათამდე. ნ. 1521

26 ივლისს, დღის 12 საათზე.

ა | კ. რკ. გზის სატყეო განყოფილების ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, სოფ. საჭილაოში (მარნის თემი, სენაკის მაზრა).

დანიშნულია შერეული საჯარო ვაჭრობა

რომელშიაც მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წერილობითი განცხადებების შემოტანა დახურულ კონვერტებით და ფასის განცხადება ზეპირადაც

საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა

1) ქარხნის მახლობლად, ცხენის წყლიდან სვანეთიდან ჩამოცურებულ მორების ამოთრევა და მათი ქარხნის ეზოში ცალ-ცალკე, ზომების მიხედვით დაწყობა. 2) მორების რიცხვი იქნება დაახლოვებით ოცდა ათი ათასამდე. 3) ფასი თითო მორის ამოთრევისათვის ერთი მეორეზე უნდა იყოს განსაზღვრულად შემოძლელი, შეიძლება გოჯობითაც (ვერშოკობით) ან კუბ. ფუტ. ანგარიშით. 4) მუშაობა დაიწყება არა უგვიანეს 15 აგვისტოსა, მომუშავეთათვის და მათი კამეჩების ან ხარებისთვის ქარხნის ეზოში იქნება მიჩნეული განსაკუთრებული ბინა. 5) მუშაობის დანარჩენი პირობების გაგება შეიძლება ქარხნის ანგარიშში სოფ. საჭილაო, მარნის თემი, სენაკის მაზრა, ყოველ დღე დილის 8—3 საათამდე.

ნის. № 1507—3—2

ქალაქ თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველო

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ თანახმად აღმასკომის პრეზიდიუმის ა | წ. 16 ივლისის № 20 დადგენილებისა დროებით შეწყვეტილია ბინების გაცემა საცხოვრებლად და ამ საკითხზე შემოსული განცხადებები, როგორც ძველი ისე ახლები განხილულნი და დაკმაყოფილებულნი არ იქნებიან.

ყველა უქსის განკარგულებაში მყოფი ბინები მოხმარებული იქნებიან გზების გაფართოების გამო გამოწვეულ დასანგრევი სახლებიდან გამოსასახლებელ მოქალაქეთა დასაკმაყოფილებლად და დაწესებულებების საჭიროებისათვის.

ამ საკითხის მოწესრიგების შემდეგ უქს-ი ხელახლა შეუდგება მოქალაქეთა ბინებით დაკმაყოფილებას, რაც იქნება გამოცხადებული პრესის საშუალებით.

უქს—ის გამგე (ხელმოწერილია)

საცხ. სად. სექციის გამგე ბაქანიძე.

ნის. № 1516 3—2 კანცელარიის გამგის მაგ. ჩიგოგიძე.

წარმოკავშირის გამგეობა აცხადებს, რომ 18 ივლისისათვის დანიშნული

საჯარო ვაჭრობა

გორის მაზრაში ორი ხილის შესანახი [illegible] გაცემის შესახებ

არ შესდგა.

24 ივლისის დილის 11 საათისთვის დანიშნულია

შეჯიბრება

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ „წარმოკავშირის მეხილეობის სექციაში.

(კომინტერნის ქ. № 3)

1—1 ნ. 1523

Судебный исполн. нарсуда 4 района г. Тифлиса об'являет,

что 31-го июля сего года, в 12 ч. дня, по ул. 19 февраля в д. № 17, будет произведена им публичная продажа со 2-го торга права Порфирия Алексеевича Тевдорадзе на 13 | 28 долей в нижеуказанных постройках: 1) 2 х этежного каменного дома, в коем 4 раствора, 14 комнат, 4 кухни, 2 железных балкона на улицу с под,ездом, подвал с 4 сараями; 2) одноэтажного каменного дома, в коем 6 комнат, подвал и деревян. сарай. Означенное право Тевдорадзе в этих постройках, наход. по ул. 19 Февраля под № 17, оценено в 2000 руб., но торги могут быть начаты и с первой предложенной суммы. Желающие торговаться должны: 1) представить судебн. исполн. справку нотар. отд. обсуда и коммун. отдела, что ни они, ни их супруги, ни их несовершеннолет. дети не владеют строениями в. г. Тифлисе, а также дать подписку в том, что ни они, ни вышеуказан. члены семьи, не владею отроениями в какой либо другой местности; 2) внести залог 10 проц. с оценки продаваемого права, а остальную покупную сумму в течение 7 дней.

1—1. Судебн исполн. Потемковский.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—4

ექიმი ა. ს. ფონ-ირცელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ნიმსიოფოების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

25—10

ექიმი ბ. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8, მელიქანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

25—10

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვ-ვე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე [illegible] ქ. № 77, მეორე სახლი კიროჩნის ქუჩის კუთხიდან.

25—9

ექიმი გ. გ. მეჰრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასუქი ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალარიისა, ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—7

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—14

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—83 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

25—13

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33,

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—14

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—საათამდე. 25—2

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი ზ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—13

ექიმი გ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიულ ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

[illegible] ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—25

წალვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონე

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—16 1795

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

25—15

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—16

ბორჯომი

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს მისამართი:

როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17, ზოსინის აგარაკი.

15 მკათათვიდან 15 ენკენისთვემდე.

25—10

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—15

ექიმი გ. გოლდშტეინი

იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—7

პროფესორი გ. მ. მუხაძე

საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.

1960 25—5

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი გიორგი ტიტესძე ქიქოძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 205

დაკარგე სამხედრო ნუსხა № 1525 რაჟდენ ჩუხუას სახელზე ჩ. გ. 1—1 2051

დაკარგე პირადობის მოწმობა № 251 ნიკო ერისტოს ძე ბოკუჩავას სახელზე ჩ. გ. 1—1 2061

დაკარგე სამხ. აღრიცხვის წიგნაკი ფორმა № 4 მოქემული ანდრო კვირკაიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 2051

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი ვახტანგ ანანიაშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 2052

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 1926 მარიამ სულხანიშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 2050

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ წამალაშვილის სახელზე № 1516 ჩ. გ. 1—1 20

დაკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 44103 დათიკო ჩხეიძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2053

ტირაჟი.—20.514

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4